ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №6. ივნისი. 2013.

უწმინდესო და უნეტარესო! ღრმად პატივცემულო სულიერო მოძღვრებო! ქალბატონებო და ბატონებო!

მაქვს პატივი მოგესალმოთ და მოკრძალებით გთხოვთ სულგრძელად მომიტევოთ, რომ ვბედავ მოგმართოთ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თავდადებულ მოღვაწეს, ერის სულიერ მამას მოგილოცოთ თქვენი დაბადებიდან 80 და აღსაყდრებიდან 35 წლისთავი.

მუხლს ვიდრეკ თქვენი უწმინდესობის წინაშე და დიდი მოკრძალებით გადმოგცემთ ჩვენი კუთხის შვილების დიდ სიყვარულსა და პატივისცემას. ჩვენ კარგად გვაქვს გაცნობიერებული, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თქვენი ჩამობრძანება აჭარაში. ეს ხომ ის კუთხეა, საიდანაც ანდრია პირველწოდებულმა ქრისტეს ნათელისა და მადლის მოფენა დაიწყო. ადგილობრივი მოსახლეობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ისტორიულ ფაქტს, რადგან ეს ჩვენი სულიერი ცხოვრების წარსული და მისი მომავლია.

თქვენი აღსაყდრების დღეს, ფაქტობრივად, ქართველი ერის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. სწორედ თქვენი მოღვაწეობის შედეგად ეკლესიის არამარტო გამოცოცხლება, არამედ აღორძინებაც და განმტკიცებაც შეძელით.

სწორედ თქვენი დამსახურებაა, რომ საქართველოში მოღვაწე ეს ღრმად პატივცემული სტუმრები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და რელიგიურ კულტურას იკვლევს, დღეს აქ, ბათუმის უნივერსიტეტში შეიკრიბა, რომ საზოგადოებას თავიანთი კვლევები და ნაშრომები წარუდგინონ. გააცნონ საზოგადოებას ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე არა ერთი ძეგლის მნიშვნელობა, მტრის რისხვას გადარჩენილი, თუ სხვადასხვა ეკლესია-მონასტერში დაცული საგანძურის შინაარსი და დანიშნულება.

მე გავეცანი კონფერენციის მონაწილეთა მიერ წარმოსადგენ საკითხთა შინაარსს და მინდა გითხრათ, რომ დღევანდელ კონფერენციას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ - აფხაზური ურთიერთობების აღსადგენად და გასამყარებლად. ის მძიმე მემკვიდრეობა, რომელიც საბჭოთა პერიოდიდან გვერგო, ჯერ კიდევ დიდ პრობლემად რჩება. ჩვენი მომავალი თაობისთვის კი აუცილებელია, იცოდეს წარსულში არსებული კულტურულ-ისტორიული ურთიერთობები, აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ყველა იმ ობიექტის მნიშვნელობა, რომელიც საქართველოსათვის სარწმუნოებრივ საგანძურს წარმოადგენს. ეს ჩვენი წარსული, ჩვენი ისტორიაა, რომელიც აწმყოში მომავალს ბადებს და სწორედ ამიტომ უნდა გვახსოვდეს ჩვენი წარსული, რადგან როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა: უხორთუმო სპილოს არ დავემსგავსოთ.

თქვენო უწმინდესობავ!

როცა თქვენ შეუდექით დიდ მოღვაწეობას ბრძანეთ, რომ თქვენი უმთავრესი მიზანი ქართველი ერის გაძლიერებაა. ეს დღესაც თქვენი და ჩვენი მიზანია. მე ვიცი, რომ თქვენი უდიდესი ტკივილი და ფიქრია დაქუცმაცებული და ტერიტორია დაკარგული საქართველო, დანაწევრებული ქართული ცნობიერება. მე დარწმუნებული ვარ, რომ მისი გამამთლიანებელიც მხოლოდ და მხოლოდ თქვენ ბრძანდებით.

ჩვენ გვეამაყება, რომ თქვენი საეკლესიო მსახურება აჭარაში, ბათუმში დაიწყო. აქაურმა ქართველმა კარგად იცის, რომ ქრისტეს რჯული ქართველებისთვის იყო ქვითკირი საქართველოს სხვადასხვა კუთხის გასაერთიანებლად.

დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ თქვენი ჩამობრძანებით გამოწვეული დიდი სიხარულისათვის, ბედნიერი წუთებისათვის. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

არჩილ ხაბაძე,
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

პატრიარქის კვირეული აჭარაში

2013 წლის 17 ივნისს, აჭარაში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ჩამობრძანდა. ამავე დღეს გაიმართა საყოველთაო ნათლობა, ხულოში ქრისტეს მადლს 1500-მდე აჭარელი ეზიარა. უწმინდესი და უნეტარესი 18 ივნისს ხიჭაურის წმიდა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს შეხვდა, რომელმაც უნივერსიტეტის რექტორს, მეუფე სპირიდონს წმინდა სპირიდონის ხატი უსახსოვრა, ხოლო 5000 ევრო ზემო აჭარაში მცხოვრები გაჭირვებული ოჯახებისთვის გადასცა. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ფულადი დახმარება როგორც ქრისტიან, ასევე მუსლიმან მრევლსაც გადაეცემა. ადგილობრივები მას ემოციითა და კონცერტით დახვდნენ. უწმინდესმა მეუფე სპირიდონი მთავარეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა.

19 ივნისს კი პატრიარქი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბრძანდებოდა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილია II-ს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ პატრიარქს დაბადებიდან 80 და აღსაყდრებიდან 35 წლის იუბილე მიულოცა, ისაუბრა მის ღვაწლზე, უნივერსიტეტის განვითარებაში შეტანილ წვლილზე, რექტორმა უწმინდესს შოთა რუსთაველის მედალი და კრებული „აჭარული საუნჯე“ გადასცა. პატრიარქს მიესალმნენ: უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალიოშა ბაკურიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე, უნივერსიტეტის პროფესორი შუშანა ფუტკარაძე, კულტურისა და ხელოვნების განვითარების ფონდის „წმინდა ანდრიას ჯვრის“ დირექტორი მათე ტაკიძე და სტუდენტი ქეთევან დევაძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მემკვიდრეობის“ გახსნას დაესწრო. კონფერენცია თემაზე „აფხაზეთი“ კულტურისა და ხელოვნების განვითარების ფონდის „წმიდა ანდრიას ჯვრის“ ორგანიზებით გაიმართა და ეძღვნებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაბადებიდან 80 და აღსაყდრებიდან 35 წლისთავს. ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორ-მასწავლებლებმა და მკვლევრებმა მოხსენებები წარმოადგინეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: „საზოგადო მოღვაწეთა საარქივო მასალები აფხაზეთის შესახებ“, „აფხაზეთის კონსტიტუციური სტატუსი და საქართველოს მოვალეობები“, ქართულ-აფხაზური ურთიერთოებები და კონემატოგრაფი“, „ქართველის ნაციონალური სტერეოტიპი თანამედროვე აფხაზურ ლიტერატურაში“, „კოდორის (დალის სვანეთის) საღოცავები და ქრისტიანული ძეგლები“, „ამჟამინდელი აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკურ-ენობრივი დახასიათება“, „ქართველთა და აფხაზთა ისტორიულ-სამართლებრივი მემკვიდრეობის საკითხი“, „ქართულ-აფხაზური ურთიერთობები“, „რუსეთის როლი აფხაზეთის საეკლესიო ცხოვრებაში“, „წმინდა სოფია, ღვთაებრივი სიბრძნე, რომელმაც უნდა დაიბრუნოს აფხაზეთი“ და სხვ.

ილია მეორემ სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და სრულიად საქართველო დალოცა. მან ქართველი და მუსლიმანი მრევლის მრავალსაუკუნოვან მეგობრულ თანაცხოვრებაზე ისაუბრა. პატრიარქმა უმაღლეს სასწავლებელში წიგნიერების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. უწმინდესმა და უნეტარესმა უნივერსიტეტს წმინდა ნიკოლოზის ხატი უსახსოვრა.

ამავე დღეს, ბათუმის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარში საყოველთაო ნათლობა აღევლინა. ბათუმში პატრიარქის ნათლული 1000-მდე ადამიანი გახდა. უწმინდესმა და უნეტარესმა წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში მრევლი დალოცა. ეს ის ტაძარია, სადაც თავად 7 წელი მსახურობდა. პატრიარქმა აქ მოღვაწე სასულიერო პირები სხვადასხვა ხარისხში აიყვანა.

20 ივნისს უწმინდესი სარფში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარში ბრძანდებოდა. მან ლაზები დალოცა. ილია მეორემ რეგიონში 3000-მდე ადამიანი მონათლა.

„დღეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის განსაკუთრებული და გამორჩეული დღეა. 1991 წელს თქვენი კურთხევით საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში უმაღლესი განათლების ეს კერა ამოქმედდა. ჩვენ გვეამაყება, რომ სწორედ აქ, ამ კედლებში აღინიშნება თქვენი დაბადებიდან 80 წლისა და აღსაყდრებიდან 35 წლის იუბილე“. - გვ. 3

„დიდბუნებოვანო მოძღვარო, თქვენი სიტყვებიდან და საქმიანობიდან მომდინარე გულწრფელმა სიყვარულმა მართლმადიდებლობისკენ შემოაბრუნა დღეს ბევრი აჭარელი, ტაო-კლარჯელი ქართველი და დაუბრუნდა წინაპართა მიერ საუკუნეთა მანძილზე სათუთად შენახული ქრისტიანული (მართლმადიდებლური) სარწმუნოება. თქვენი სიტყვებიდან ანკარა წყაროსავით მომდინარე წრფელი გრძნობა — ქრისტესმიერი სიყვარული კვლავაც მოახდენს კეთილშობილურ ზემოქმედებას ქართველებზე და აზიარებს სახარებისეულ მადლს“. - გვ. 3

„ამერიკელ განმანათლებელთა პოლიტიკური ესეების“ პრეზენტაცია

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის (პროფ. თენგიზ ირემაძე, პროფ. ჰელმუტ შნაიდერი, ასისტ.-პროფესორი გიორგი თავაძე) და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (პროფ. ლალი ზაქარაძე) ერთობლივი ორგანიზებით წიგნის: „ამერიკელ განმანათლებელთა პოლიტიკური ესეები (ბერჯამინ ფრანკლინი, ჯონ ადამსი, თომას ჯეფერსონი, ჯეიმს უილსონი, ბენჯამინ რაში)“ პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ხუროშვილმა და სამეცნიერო რედაქტორები არიან: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გიორგი თავაძე. ნაშრომი საქართველოში აშშ-ის საელჩოს წიგნების თარგმანის საგრანტო პროგრამის ფარგლებში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა. წიგნები საჩუქრად გადაეცა ბსუ ბიბლიოთეკას, სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ბიბლიოთეკებს.

დაუვიწყარი გამოსაშვები საღამო

სტუდენტობა ცხოვრების რთულ გზაზე მარტო ახალგაზრდული ასაკი კი არა, სულიერი საზრდოს და საგზალის შეგროვების წლებიცაა. სტუდენტურ წლებს მართალაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ადამიანის ცხოვრებაში. სწორედ ამის დასტური გახლდათ საღამო, რომელიც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის კურსდამთავრებულებმა მოაწყვეს „პრეზიდენტ პლაზაში“. გრადიოზული შოუ-პროგრამა, საგანგებოდ გათვლილი თითოეული წუთი, ფოტოალბომი, მოგონებები და ბევრი სხვა საინტერესო რამ, მხოლოდ და მხოლოდ გულიდან მოდიოდა, სიყვარულით იყო გაჟღენთილი. ამ კარგი საქმის სულისჩამდგმელი ამავე კურსის სტუდენტი, გადაცემა „ბარათის“ წამყვანი თეონა გორგოშაძე იყო. ამ დღეს სტუდენტებმა საგამომშვებო საღამო გაახალისეს სხვადასხვა ნომინაციით, რომლებშიც თვით ლექტორ-მასწავლებლებიც მონაწილეობდნენ. ემოციებით აღსავსე, უშუალო, თბილი, შთამბეჭდავი საღამო ფეიერვერკით დასრულდა. ამავე დღეს დაემთხვა მათივე თანაკურსელის, ნინო დიასამიძის დაბადების დღე. მადლიერებას გამოხატავდა ბევრი თბილი სიტყვა, სინანულის ნაცვლად კი იყო ცრემლებიც.

ეს დაუვიწყარი საღამო დიდხანს დაამახსოვრდებათ როგორც კურსდამთავრებულებს, ასევე ლექტორ-მასწავლებლებსაც. ამით 2013 წლის ქართული ფილოლოგიის კურსდამთავრებულებმა კარგ ტრადიციასაც ჩაუყარეს საფუძველი.

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი განიხილეს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ თამარ სანიკიძემ, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა მამუკა ბერიაშვილმა და სამინისტროს წარმომადგენლებმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლებისა და მეცნიერების რეფორმების სამოქმედო გეგმა წარადგინეს. რექტორთან, პროფესორ ალიოშა ბაკურიძესთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი განიხილეს. საკანონმდებლო სიახლის მიხედვით, იცვლება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი, მმართველობითი ორგანოები, შეფასების სისტემა, რექტორისა და დეკანის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, აკადემიური პერსონალის შემადგენლობა. რეფორმის შემდეგ დარეგულირდება სახელფასო პოლიტიკა, საბიუჯეტო პროცესის გამჭირვალობა, ცვლილებები შევა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტების გაცემის წესსა და დაფინანსებაში. შეხვედრა დიალოგის რეჟიმში წარიმართა და სამინისტროს წარმომადგენლებმა პროფესორ-მასწავლებლების აქტუალურ შეკითხვებს უპასუხეს.

შეხვედრა გდანსკის მენეჯმენტის განვითარების ფონდის წარმომადგენლებთან

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს გდანსკის მენეჯმენტის განვითარების ფონდის დირექტორი ტომას ჰარაკიევიჩი და ფონდის წარმომადგენელი საქართველოში, პროფესორი ზურაბ ჩელებაძე ეწვივნენ. რექტორის მოადგილესთან, ირაკლი ბარამიძესთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე მხარეები ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით პოსტდიპლომური განათლების ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაზე შეთანხმდნენ. ასევე განიხილეს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებისა და გდანსკის უნივერსიტეტთან (პოლონეთი) სამომმავლო თანამშრომლობის საკითხები. ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, ბაკალავრებსა და მაგისტრებს ბსუ-ს ბაზაზე შეეძლებათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსის გავლა. გაიცემა საერთაშორისო სერტიფიკატი, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა უცხოეთში დასაქმებას.

„უნივერსიტეტისა და წარმოების თანამშრომლობა – გამოცდილებიდან სტრატეგიამდე“

ტემპუსის პროექტის „უნივერსიტეტი-წარმოება ურთიერთობის გაძლიერება კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების გზით“ ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სემინარი ჩატარდა თემაზე: „უნივერსიტეტისა და წარმოების თანამშრომლობა - გამოცდილებიდან სტრატეგიამდე“. სანტლივენის უმაღლესი კათოლიკური სკოლის პროფესორმა კრის ვან კერიმ (ბელგია), აალენის უნივერსიტეტის პროფესორმა კარინ კადოვიმ (გერმანია), გრენობლის აკადემიის პროფესორმა ესტერ გრუნკემაიჯერიმ (საფრანგეთი) და კოვენტრის უნივერსიტეტის პროფესორმა კუო მინგ ჩაომ (ინგლისი) სემინარის მონაწილეებს გაუზიარეს გამოცდილება უნივერსიტეტების ეკონომიკის სექტორთან თანამშრომლობისა და გამოყენებითი ხასიათის კვლევების, კვლევების კომერციალიზიის საკითხებში. ასევე გააცნეს აჭარაში არსებული რამდენიმე ორგანიზაციისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობის მაგალითები. პროექტის კოორდინატორმა, ასოცირებულმა პროფესორმა ლელა თურმანიძემ წარმოადგინა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხედვა სტუდენტთა სტაჟირების, კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და ინოვაციური კვლევების წარმოებასთან დაკავშირებით.

პროექტის მიზანია უნივერსიტეტებისა და ეკონომიკის სექტორის შესაძლებლობების გაძლიერება თანამშრომლობის გზით. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეიქმნება სამსახური, რომელიც ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით შეისწავლის კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სამეცნიერო კვლევების წარმოებაში დანერგვის შესაძლებლობებს. სამსახური ითვალისწინებს სხვადასხვა ორგანიზაციის, საწარმოსა და უნივერსიტეტის წარმომადგენლების რეგულარულ დიალოგს, რაც ხელს შეუწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვალიფიციური, კომპეტენტური სპეციალისტების მომზადებასა და კვლევების წარმოებას.

სემინარში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, აჭარის სავაჭრო და სამრეწველო პალატის, შპს „ბათუმის წყალის“, საპროექტო ორგანიზაცია „ეგგის”-ისა და ტურისტული სააგენტოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

„თანამშრომლობა უკეთესი მომავლისთვის“

განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის III და IV კურსის სტუდენტები სწავლების მეთოდიკის ხელმძღვანელთან მადონა მიქელაძესთან ერთად, პროექტის: „თანამშრომლობა უკეთესი მომავლისთვის“ ფარგლებში ქედის, შუახევისა და ხულოს საჯარო სკოლებს ეწვივნენ. ახალგაზრდებმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარეს ისტორიისა და სამოქალაქო სწავლების საკითხებზე და სკოლებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მასწავლებელთა ასოციაციის სახელით საჩუქრად წიგნები გადასცეს. პროექტი მიზნად ისახავს სკოლისა და უნივერსიტეტის სამეცნიერო—კვლევითი საქმიანობის ინტეგრირებას, მასწავლებლის განათლების ახალი საზრისისა და დანიშნულების განსაზღვრასა და არსებული მდგომარეობის ანალიზს.

უნივერსიტეტში მაღალმთიან აჭარაში ტურიზმის განვითარებისა და მიგრაციის შემცირების საკითხებზე შეხვედრა გაიმართა

მაღალმთიან აჭარაში ტურიზმის განვითარებისა და მიგრაციის შემცირების საკითხებს მიეძღვნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული შეხვედრა. მიუნხენის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის 20-კაციანი დელეგაციის წევრებმა ხულოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული ტურისტული ტურის შედეგები წარმოადგინეს. ერთი კვირის განმავლობაში გერმანელი სტუდენტები გერმანიის განათლების სამინისტროს მხარდაჭერითა და მიუნხენის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის თეო ებერჰალდის ხელმძღვანელობით მაღალმთიან რეგიონში ფოლკლორს, ქართულ ტრადიციებსა და სამზარეულოს ეცნობოდნენ. უცხოელი სპეციალისტების შეფასებით, შესაძლებელია ტურიზმი მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობისთვის ახალი შემოსავლის წყარო გახდეს.

„ეკონომიკური კრიზისი ევროპაში“

შოთა რუსთაველის დარბაზში სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის როსტოკის უნივერსიტეტის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა მაიერ ცუ ნატრუპიმ საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: „ეკონომიკური კრიზისი ევროპაში“. მომხსენებელმა კრიზისის გამომწვევ მიზეზებზე, მათი დაძლევის გზებზე და ევროკავშირში შემავალი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ჰომოგენურობის აუცილებლობაზე ისაუბრა. ყურადღება გაამახვილა ასევე ევროკავშირის, როგორც პოლიტიკური გაერთიანების დადებით და უარყოფით მხარეებზე. საჯარო ლექციის დასასრულს დისკუსია გაიმართა და მკვლევარმა სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა.

ტემპუსის საგრანტო პროექტის წარმომადგენლების ვიზიტი

ტემპუსის საგრანტო პროექტის „ინტერნაციონალიზაციისა და უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის შედარებითობის ხელშენყობა (PICQA)” ფარგლებში ევროპის პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ალიოშა ბაკურიძეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ედიშერ ჩავლეიშვილსა და რექტორის მოადგილეებს შეხვდნენ. გერმანიის აკრედიტაციის საბჭოს ინჟინერიის, ინფორმატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მათემატიკის მიმართულებების ექსპერტებმა იანა მოერინმ და ბიგირიტ ჰანიმ, საფრანგეთის აკრედიტაციის სააგენტოს წარმომადგენელმა ლიზა ბიდანოვამ, როტერდამის უნივერსიტეტის პროფესორმა ასტრიდ ჰარტმანიმ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა ნინო კოპალეიშვილმა შეხვედრაზე პროექტის განხორციელების პირობებსა და შედეგებზე ისაუბრეს. ვიზიტის ფარგლებში უცხოელმა ექსპერტებმა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისათვის სემინარი ჩაატარეს თემებზე: „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების ურთიერთობა“ და „დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა“

სიტყვა, თქმული შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის დაბადების 80-სა და აღსაყდრებიდან 35 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე 2013 წლის 19 ივნისს

თქვენო უწმინდესობავ,

უღრმესი პატივისცემითა და გულწრფელი სიყვარულით მოგესალმებით და გილოცავთ დაბადების 80—სა და აღსაყდრებიდან 35 წლისთავს.

დიდბუნებოვანო მწყემსთმთავარო! სულიერების შეჭირვების ჟამს ქართველი ერის გადასარჩენად დიდმა ღმერთმა ჩვენს ქვეყანას თქვენი პიროვნება მოუვლინა. ჩვენს ხალხს თქვენი ყოველი სიტყვა სულიერად ამაღლებს, აწრთობს და ნელ—ნელა ამზადებს უფალთან ღირსეული შეხვედრისათვის. თქვენი ყოველი ეპისტოლე მზის შუქივით ეფინება წმიდა მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ მიწას და ჩვენი ერის გულში ღვთიური მადლი ისადგურებს. თქვენი ყოველი სიტყვა მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის.

თქვენი ღვაწლის ერთ—ერთი მონაკვეთის აღსანიშნავად სიამაყით გვინდა გავიმეოროთ დიდი ილია ჭავჭავაძის მიერ გაბრიელ ეპისკოპოსის მიმართ წარმოთქმული სიტყვები. იმ დიდი წინაპრის მსგავსად, თქვენ, სარწმუნოებას, მართლაც, ამეცნიერებთ და მეცნიერებას ასარწმუნოებთ. თქვენს ეპისტოლეებში ჩაქსოვილი ფილოსოფიური ნაზრევის სიდიადე, სიბრძნე და ჭეშმარიტება სწორედ ამაშია...

მე—13 საუკუნის ცნობილი სასულიერო მოღვაწე არსენ ამარტოლი ბრძანებდა: „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყველი, გამომაჩინებელი აღმწერელისაი საუკუნოდ“. ძვირფასო მოძღვარო, თქვენი ქადაგებანი და ეპისტოლენი, მართლაც, ძეგლი არს მეტყველი, სამარადჟამოდ წარმომჩენი თქვენი შემოქმედებისა, თქვენი ნაფიქრ—ნაღვაწისა, უბადლო მამულიშვილობისა. ამაყად შეიძლება ითქვას, რომ დიდი ილიას შემდეგ ჩვენს ერს არ ჰყოლია თქვენისთანა ბატონ—პატრონი, თქვენისთანა მრავალმხრივ შემომქმედი დიდბუნებოვანი მოღვაწე, თქვენებრი ჭირისუფალი.

ქრისტეს ჯვრით ხელში ერთგული ჯარისკაცივით დგახართ ჩვენი ერის, ჩვენი მშობლიური ენის მწედ და მფარველად. დღევანდელი გლობალიზაციის ურთულესი ლაბირინთებიდან ჩვენი ქვეყანა გაგყავთ ტაძრისკენ მიმავალ გზაზე. თქვენი ეპისტოლენი, სამშობლოს დღევანდელობის გათვითცნობიერებისა და მომავლის ბრძნული გააზრებით გვაგონებს დიდი ილიას „შინაურ მიმოხილვებს“. ისინი უხვად გვაწვდიან სულიერ საზრდოს და ქართველი ერის ნათელი მომავლის იმედს.

ზეგარდმო მადლით ცხებულო უწმინდესო და უნეტარესო, სიტყვამაღალო მოძღვარო, ჩვენი ბაგეტკბილი ქართულის, მხატვრული სიტყვიერების სალაროს ძალ-ღონისა და სიმდიდრის მეუფეო, თქვენს საგალობლებში, თქვენი პოეზიის უსპეტაკეს სტრიქონებში ზეიმობს ქართული სიტყვის სილამაზე; თქვენი დიდებული ფუნჯი აცოცხლებს ქართული მზით გამთბარ საოცარი სილამაზის ფერებს, რომლებიც ამეტყველებულია თქვენს შესანიშნავ მხატვრულ ტილოებში.

თქვენი მუსიკის ყოველ ბგერაში სუნთქავს ჩვენი ქვეყნის ულამაზესი ბუნება: წყაროების რაკრაკი, მთის ნიავის ჩურჩული, მდინარეთა დუდუნი, ბებერი საყდრების კედლებში დასადგურებული სიჩუმე, საუკუნოვანი გარინდება, ღვთიური სიმშვიდე... თქვენი საგალობლების მოსმენისას გვახსენდება გერმანელი განმანათლებლის, მწერლისა და დრამატურგის გ.ე. ლესინგის (1727-1781) სიტყვები: „მუსიკა არის უტყვი პოეზია და პოეზია—მეტყველი მუსიკა“. მართლაც, თქვენს საგალობლებში ერთმანეთთან შეზავებულია პოეზიისა და მუსიკის სილამაზე.

თქვენი ლექსის ყოველი პწკარი, ფუნჯის ყოველი მოსმა, მუსიკალური ნაწარმოების ყოველი ნოტი შთაგონებულია სამშობლოს სიყვარულით, მისი ნათელი მომავლისთვის თავდაუზოგავი ზრუნვით; თქვენს ყოველდღიურ ნაშრომსა და ნაფიქრს სიბრძნის დიდებული გვირგვინი ამკობს. თქვენ ღვთიური სიყვარულის მარგალიტებს თესავთ ხალხთა გულებში, ამიტომაც მოპოვებული გაქვთ საერთაშორისო აღიარება, საყოველთაო სიყვარული.

ამის ნათელი მაგალითია ოთხი დღის წინ, 2013 წლის 15 ივნისს, თქვენი ბაგეებიდან მომდინარე ღვთაებრივი სიყვარულით გამთბარი სიტყვები, თქვენი ბავშვობისდროინდელი ახლობლების —რწმენით მუსლიმანი ჩრდილოკავკასიელი ინგუშების—ქისტების მიმართ წარმოთქმული. თქვენ მიერ ამ დღეს სატელევიზიო გადაცემაში გაცოცხლებულმა ერთმა ლამაზმა მოგონებამ წარმოაჩინა თქვენი ოჯახის მაღალი სულიერება, პატივისცემა და სიყვარული ინგუში (ქისტი) ხალხის მიმართ. ცხონებულ მამათქვენს თურმე გულით ეწადა ეშვილებინა მეგობარი ინგუშის თქვენი ტოლა ვაჟი, რათა 1944 წლის გადასახლებისგან ეხსნა ახალგაზრდა ქისტი. დედამ გასაშვილებლად ვერ გაიმეტა შვილი და ყველანი გაასახლეს შუა აზიაში. ჩრდილოკავკასიის მთებში გაზრდილები ვერ შეეგუენ ახალ გარემოს; გასახლებულთა დიდი ნაწილი მალევე გარდაიცვალა. შუა აზიის მიწამ მიიბარა მათქვენის ინგუში მეგობრის ოჯახის წევრებიც. ცოცხალი დაბრუნდა მხოლოდ ის, ვისი შვილად აყვანაც თქვენს დედ—მამას ეწადა. ამ ქისტს თქვენმა სიყვარულმა შეაძლებინა თქვენი მისამართისა და ტელეფონის ნომრის პოვნა. შედგა თქვენი სატელეფონო კავშირი. დიდბუნებოვანო მოძღვარო, ამ სატელეფონო საუბარმა დიდი სიხარული მოგანიჭათ თურმე; გაგახსენათ ახალგაზრდობა და კვლავ გამოაცოცხლა ის სიყვარული, რომელიც თქვენს ოჯახს ჰქონდა მუსლიმანი ინგუშების მიმართ. ამას ტელემაყურებლის წინაშე თქვენ ყვებოდით დიდი სიყვარულით. ეს გრძნობა პირდაპირ გადავიდა მსმენელზე და ხალხთა შორის მეგობრობისა და კეთილშობილური ურთიერთობის დამყარების განმტკიცებას მოემსახურა. თქვენ ისიც ბრძანეთ, რომ თქვენს ოჯახში ინახებოდა მუსლიმანური ლოცვისთვის განკუთვნილი სპეციალური სალოცავი ხალიჩები, რომელსაც მუსლიმანი სტუმრები იყენებდნენ ლოცვის აღსრულებისას. „ერთ დარბაზში ისინი მუსლიმანურად ლოცულობდნენ, მეორე დარბაზში ჩვენ ვლოცულობდით ხატების წინაშე და შემდეგ ერთად მივუხსდებოდით სავახშმო სუფრასო“,— ბრძანეთ თქვენ. ეს სტუმარ—მასპინძლური ტრადიცია დაცული იყო მართლმადიდებელი მღვდლის—ცხონებული მამათქვენის ოჯახში, სადაც სახარებისეული სითბო და ქრისტესმიერი სიყვარული იყო დავანებული. ეს ღამაზი მოგონება დიდი შეგონებაცაა და გასათვალისწინებელია დღევანდელ საქართველოში, სადაც ჩვენი ერის წინსვლის მოშურნეები ცდილობენ არაჯანსაღი ურთიერთობა დააკანონონ ქრისტიან და მუსლიმან ქართველებს შორის, ძირი გამოუთხარონ ქართველი ერის ერთიანობას. ქრისტიანობა სიყვარულის სარწმუნოებაა, ჩვენს ერს ქრისტესმიერი სიყვარული გააერთიანებს მხოლოდ.

დიდბუნებოვანო მოძღვარო, თქვენი სიტყვებიდან და საქმიანობიდან მომდინარე გულწრფელმა სიყვარულმა მართლმადიდებლობისკენ შემოაბრუნა დღეს ბევრი აჭარელი, ტაო—კლარჯელი ქართველი და დაუბრუნდა წინაპართა მიერ საუკუნეთა მანძილზე სათუთად შენახული ქრისტიანული (მართლმადიდებლური) სარწმუნოება. თქვენი სიტყვებიდან ანკარა წყაროსავით მომდინარე წრფელი გრძნობა—ქრისტესმიერი სიყვარული კვლავაც მოახდენს კეთილშობილურ ზემოქმედებას ქართველებზე და აზიარებს სახარებისეულ მადლს.

თქვენი ღამაზი მოგონება, გულიდან მომდინარე სიყვარულით გამთბარი სიტყვებით მოქარგული, ტელევიზიისა და ინტერნეტის საშუალებით გავრცელდა, მოისმინა, ნახა მილიონობით ქართველმა მუსულმანმა საქართველოშიცა და უცხოეთშიც; რამდენიმე ქართველი მუსლიმანი კიდეც შემეხმიანა ტელეფონით გერმანიიდან, სტამბოლიდან, ბურსიდან და მთხოვა თქვენთვის მომეხსენებინა მათი სამადლობელი სიტყვა. ისინი გრძნობენ თქვენგან მომდინარე ღვთიურ სიყვარულს და მტკიცედ სწამთ, რომ თქვენ, ძვირფასო მოძღვარო, ბრძანდებით როგორც ქრისტიანი, ისე მუსლიმანი ქართველების სულიერი მოძღვარი, სამომავლო გზის მაჩვენებელი, ამიტომაც გულითადად უყვარხართ და გლოცავენ მხურვალე გულით.

დაუვიწყარია თქვენ მიერ საპატრიარქოში მუსლიმანი ქართველებისთვის მოწყობილი ერთი ლამაზი შეხვედრა. თურქეთის საზღვრებში დარჩენილ ზემო მაჭახლელ მომღერალ და მოცეკვავე მოხუცებს უმასპინძლეთ მაშინ, 2004 წლის ოქტომბერში.გამომშვიდობებისას საუკუნეთა ქარტეხილებში გამოტარებული ქართული მრავალხმიანი სიმღერა დააგუგუნეს ბერიკაცებმა საპატრიარქოში. შენობის ჭერი თითქოს ამაღლდა, საძირკველი გაუმაგრდა, გაჯერდა ჰაერი ქართული სიმღერით. დაკარგული შვილები გულში ჩაიხუტა დედასაქართველომ. მოხუცები ცრემლებით სავსე თვალებით დაგემშვიდობნენ. თქვენც წამწამებზე ცრემლი გეკიდათ. მეტად ამაღელვებელი, მძიმე შეიქმნა ეს წუთები. რამდენიმეჯერ გადაგეხვივნენ ისინი. გულის გასამაგრებლად ძველი ქართული მრავალხმიანი სიმღერა „ორერო“ შემოსძახეს და დაეშვნენ საპატრიარქოს კიბეზე. მათი ცხელი ცრემლებით ინამებოდა კიბის საფეხურები.

თქვენ მიერ ნაჩუქარი „სახარება“ გულში ჩახუტებული მიჰქონდათ. მე ისინი ავტობუსამდე მივაცილე. მეკითხებოდნენ: ეს წმინდა წიგნი ავტობუსში როგორ შევინახოთო. ერთი ჩანთა გამოათავისუფლეს, თქვენს მიერ ნაკურთხი სანთლები შეკრიბეს, ერთი ნაწილი ჩანთის ძირას მოათავსეს, მასზე „სახარების“ ცალები დააწყვეს, ზემოდანაც ნაკურთხი სანთლებით დაფარეს და სუფთად შენახული წაიღეს ზემო მაჭახლის უძველეს ქართულ სოფლებში—მინდიეთში, ქვაბითავში, ეფრატში, ხერთვისში, აკრიაში, ზედვაკეში.

ვინ იცის, სულის სიღრმეში როგორი სინანული ჰქონდათ, ღია ჭრილობასავით მწვავე... მას შემდეგ ბევრი მათგანის შვილიშვილი საქართველოში ჩამოვიდა და მოინათლა, სახარებისეულ მადლს ეზიარა. ეს მადლი თქვენი მასპინძლობის ნაყოფი იყო, თქვენს სახეზე აყვავებულ ღვთაებრივ სიყვარულზე აღმოცენებული.

მეც მუსლიმანურ ოჯახში ვარ აღზრდილი, ჯვარდასმულ კეცზე გამომცხვარი პურითა და მჭადით ნაზარდი. ამან თანდათანობით ღვთაებრივი ნაყოფი გამოიღო და 1990 წლის 19 აგვისტოს—ფერისცვალების დღეს თქვენი ლოცვა—კურთხევით, ჩემს სტამბოლელ ნათესავებთან ერთად, ვეზიარე სახარებისეულ მადლს, ქრისტიანულ რწმენას. ნათლობა ჩატარდა სიონის ტაძარში. დიდი მადლობა ამ ზიარებისათვის.

გულითადი მადლობა იმისათვისაც, რომ ზემო აჭარას ესტუმრეთ — ჩემს მშობლიურ კუთხეს და წინაპართა რწმენას დაუბრუნეთ ათასობით ქართველი. სწორედ ზემო აჭარაში, ჩემს მშობლიურ მირათის (მარეთის) ხევში, არის ადგილი **გამონათლევი**, სადაც მდინარე ჩირუხის წყალში ინათლებოდნენ ჩვენი წინაპრები. როგორც ცნობილია, საქართველოს არც ერთ კუთხეში არ ჰქვია გეოგრაფიულ ადგილს სახელი—„გამონათლევი“. მხოლოდ დიდ ექვთიმე თაყაიშვილს კოლას მთებში მოგზაურობისას უნახავს სანათლავი ნაკადული „აიაზმა“, სადაც ინათლებოდნენ კოლაელები, სადაც მოინათლნენ წამებული ცხრა ძმა კოლაელნი. ზემო აჭარაში, მდინარე ჩირუხის წყლის ნაპირას მდებარე გამონათლევში მდგარ წმინდა გიორგის ეკლესიას თქვენს მიერ ჩატარებული ამ დიდი ნათლობის შემდეგ, ღვთის შეწევნით, მოუმრავლდება მრევლი; გამონათლევში აგუგუნდება საეკლესიო ზარები. მდინარე ჩირუხის წყალში კვლავ მოინათლებიან გულმაგარი ქართველები. დიდი მადლობა ყოველივე ამისათვის!

თქვენო უწმინდესობავ, ჩვენი ერის სიამაყევ, თქვენი პიროვნება დიდმა უფალმა ჭეშმარიტად მოგვივლინა ჩვენდა ნუგეშად, თავმოსაწონებლად, ჩვენი ერის გადასარჩენად.

ისტორიული სამხრეთ საქართველოს უძველესი მხარეების — ტაო—კლარჯეთისა და აჭარის დედების სახელით, ისტორიის ქარცეცხლს რომ გამოატარეს ძველი ქართული ტრადიციები, ძველი ქართული ენის მდიდარი საგანძური, ჩემი მშობლიური უნივერსიტეტისა და ამ უნივერსიტეტთან არსებული ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის თანამშრომელთა სახელით, ერთხელ კიდევ გულწრფელად გილოცავთ დაბადების 80 წლისთავს; გისურვებთ ჯანმრთელ, დღეგრძელ, ბედნიერ სიცოცხლეს. ღმერთმა კვლავაც დიდხანს შეგაძლებინოთ ჩვენი ერის მწყემსმთავრობა!

უფალს ვავედრებთ თქვენს ჯანმრთელ, დღეგრძელ სიცოცხლეს, ჩვენი სამშობლოს ბედნიერ მომავალს.

უღრმესი პატივისცემით, გულწრფელი სიყვარულითა და თაყვანისცემით —
ᲨᲣᲨᲐᲜᲐ (ᲨᲣᲨᲐᲜᲘᲙᲘ) ᲨᲣᲢᲙᲐᲠᲐᲫᲔ —
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი
ბათუმი, 2013 წლის 19 ივნისი.

თქვენო უწმინდესობავ, წმინდა სინოდის წევრებო, დამსწრე საზოგადოებავ,

საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანობა და ქართველობა ერთმანეთთან გაიგივებული მცნებები იყო, ერთმანეთისგან გამომდინარეობდა და ერთმანეთს ავსებდა, ერთის გადარჩენა მეორეს შენაჩუნებას გულისხმობდა და პირიქით, ამიტომაც ბრძანებდით, თქვენო უწმინდესობავ, 1979 წლის სააღდგომო ეპისტოლეში: ,,რა იქნებოდა საქართველო ქრისტიანობის გარეშე?! ჩვენ ვიცავდით ქრისტიანობას და ქრისტიანობამ გადაგვარჩინა ჩვენ!“, თქვენ ყველაზე უკეთ უწყით, რომ სული რწმენით თბება და რომ ქრისტიანის ცხოვრება ჯვარისმტვირთველობაა, ამიტომაც იტვირთეთ მძიმე ჯვარი და უკვე 35 წელია საქართველოს მაჯისცემას ხართ მიყურადებული.

ერის და ქართული ეკლესიის ისტორია სისხლიანი კალმით იწერებოდა ყოველთვის. ეკლესიის თვითმყოფადობას არაერთხელ შექმნია საფრთხე. 1917 წლიდან თითქოს აღდგა ეკლესიის ავტოკეფალია, მაგრამ სწორედ აქედან მოყოლებული დაიწყო ხანა ნგრევისა და უღმერთობისა. დევნილ და შევიწროვებულ ეკლესიას კათოლიკოს-პატრიარქები საკუთარი სიცოცხლის ფასად ინარჩუნებდნენ. კირიონ მეორეს, ამბროსი ხელაიას, კალისტრატე ცინცაძისა და სხვათა მიერ შენარჩუნებულ, მაგრამ დასუსტებულ ქართულ ეკლესიას მშველელად თქვენ მოევლინეთ, თქვენ იცოდით როგორ სუნთქავდა და ცხოვრობდა რწმენა ხალხში, ქვეყანაში, რომელიც ღვთისმშობლის წილხვედრია, სადაც პირველად ქრისტიანობა ანდრია პირველწოდებულმა და მატათამ იქადაგა, რომელიც წმინდა ნინომ მოაქცია და ამიტომაც უწოდეთ თქვენს ცხოვრებას აღსაყდრებიდან ,,მზიანი ღამე“.

დღეს თქვენი საიუბილეო დღეების მასპინძელი აჭარაა, კუთხე, რომელმაც ყველაზე უკეთ იცის, თუ რას ნიშნავს სარწმუნოებისათვის ბრძოლა. სამასი წლის მანძილზე, მიუხედავად მომხვდურთა ძალადობისა, მან შეინარჩუნა საუკუნეებით მოტანილი სარწმუნოება. მჭადზე ხშირად გაუცნობიერებლად დასმული ჯვარი ის გენეტიკური კოდია, რომელიც ყოველგვარ ძალადობას აღუდგება წინ. პირველად საყოველთაო ნათლობა ბათუმში აღავლინეთ და ამ დარბაზში მყოფთა ნაწილს ახსოვთ კიდეც ხალხის სიხარულით ანთებული თვალები, რომლებიც იბრუნებდნენ ძალით წართმეულ სარწმუნოებას.

თქვენი ქართული ეკლესიის წინამძღვრად ყოფნის პერიოდში მსოფლიო მართლმადიდებელმა სამყარომ სცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, თანამედროვე ქართულ ენაზე გამოიცა ბიბლია და საღვთისმეტყველო კრებულები, ეპარქიათა რიცხვი 15-დან 33-დე, ხოლო მონასტრებისა 53-დე გაიზარდა, თქვენი ლოცვა - კურთხევით აღიმართა ეპოქის სასწაული - სამების ტაძარი, როგორც საქართველოს სიძლიერისა და ერთიანობის სიმბოლო და თქვენ უდგახართ იმედად სახალხო დიპლომატიას ქართველთა და აფხაზთა შერიგების ეკლით მოფენილ გზაზე.

დღეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის განსაკუთრებული და გამორჩეული დღეა. 1991 წელს თქვენი კურთხევით საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში უმაღლესი განათლების ეს კერა ამოქმედდა. ჩვენ გვეამაყება, რომ სწორედ აქ, ამ კედლებში აღინიშნება თქვენი დაბადებიდან 80 წლისა და აღსაყდრებიდან 35 წლის იუბილე.

თქვენო უწმინდესობავ, თქვენ მსოფლიო საპატრიარქოს ყველა ჯილდოთი ხართ დაჯილდოებული, არაერთი უცხოური და ქართული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ბრძანდებით და ჩვენთვის დიდი პატივია, რომ დღეს თქვენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის მანტიას და რუსთაველის მედლის პირველ ეგზემპლარს გადმოგცემთ.

თქვენო უწმინდესობავ, უნივერსიტეტის ეზოში და ამ დარბაზში მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ადამიანებისა, ვისაც თქვენთან შეხვედრა და თავისი უდიდესი პატივის გამოხატვა სურდათ, ამიტომ ჩემი, თითოეული ჩვენი სტუდენტისა და თანამშრომლის სახელით გილოცავთ იუბილეს, მინდა ჯანის სიმრთელე და დღეგრძელობა გისურვოთ ქვეყნისა და თითოეული ქართველის ნათელი მომავლის იმედად.

ᲐᲚᲘᲝᲨᲐ ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲫᲔ,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ბათუმის ოლქი ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმის პირობებში (1918 წლის აპრილ-ოქტომბერი)

პირველი მსოფლიო ომის დამამთავრებელ ეტაპზე ბრესტ-ლიტოვსკში მუშაობა დაიწყო საზავო კონფერენციამ გერმანიის ბლოკსა და საბჭოთა რუსეთს შორის. ოსმალეთის მთავრობამ, რომელიც ამ ომში გერმანიის მოკავშირედ გამოდიოდა 1918 წლის 16 იანვარს ოფიციალური ნოტით აცნობა ამიერკავკასიის კომისარიატს, რომ „ცენტრალური სახელმწიფოები, შეკრებილნი ბრესტ-ლიტოვსკში, მზად არიან მთელი ძალისხმევა მოახმარონ ამიერკავკასიის მთავრობის დამოუკიდებლობის აღიარებას იმ შემთხვევაში, თუ ამიერკავკასიის მთავრობა მიავლენს თავიანთ დელეგატებს ბრესტში, საზავო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად“.

სამწუხაროდ, ამიერკავკასიის მთავრობას ამ საკითხისადმი გააჩნდა მკვეთრად გამოკვეთილი ნიჰილისტური დამოკიდებულება, რამაც ქვეყანა მძიმე სავალალო მდგომარეობაში ჩააყენა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ იმჟამად ამიერკავკასიის მთავრობას არ გააჩნდა მკვეთრად გამოკვეთილი საგარეო პოლიტიკური კურსი.

ერთიანი რუსეთის აღდგენის მოტრფიალე ამიერკავკასია არც ოსმალეთს აწყობდა და არც გერმანიას. მართალია, გერმანიასა და მის მოკავშირეებს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის ვალდებულება ნაკისრი ჰქონდათ, მაგრამ ვინაიდან თბილისში არ იზრუნეს ამ პოლიტიკური აქტის პრაქტიკულად განხორციელებისათვის, ამიტომაც მოკავშირეებმა აქცენტი გადაიტანეს რუსეთისაგან მთელი ამიერკავკასიის ჩამოშორებაზე.

1918 წლის 23 თებერვალს, გერმანიის ბლოკმა საბჭოთა მთავრობას წაუყენა ულტიმატუმი, რომელიც 10 პუნქტს შეიცავდა. მე-5 პუნქტის მიხედვით, რუსეთს ოსმალეთისათვის უნდა დაებრუნებინა „ანატოლიის პროვინციები“. თუ რა იყო ეს „ანატოლიის პროვინციები“, რუსეთის დელეგაციამ კარგად გაიგო მას შემდეგ, როცა მათ მიერ ეს ულტიმატუმი მიღებულ იქნა.

კავკასიის ფრონტზე წარმატებულმა შეტევამ, ოსმალეთს მისცა სტიმული ზემოაღნიშნული „ანატოლიის პროვინციების“ გარდა, ბრესტ-ლიტოვსკში წარედგინათ ახალი, ფართო მასშტაბის მოთხოვნები. 1918 წლის 1 მარტს, გერმანიის დელეგაციის წარმომადგენელმა - როზენბერგმა წაიკითხა საზავო ტექსტის ხელნაწერი, რომლის მიხედვით რუსეთს თავისი საჯარისო ნაწილები უნდა გაეყვანა აღმოსავლეთ ანატოლიის პროვინციებიდან და დაუყოვნებლივ უნდა დაეცალა ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქებიც.

1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში ხელი მოეწერა სამშვიდობო საზავო ხელშეკრულებას. რასაკვირველია, თბილისში პასუხი ამაზე არ დააყოვნეს და იმავე დღეს ამიერკავკასიის კომისარიატის სახელით ე. გეგეჭკორმა და ნ. ჩხეიძემ პროტესტი გაუგზავნეს საზავო ხელშეკრულების ხელმომწერ სახელმწიფოებს, მაგრამ პროტესტი დაგვიანებული დარჩა, რადგან ბრესტის ზავის დადგენილებით, ოსმალეთმა მოითხოვა ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქების დაუყოვნებლივ დაცლა. შექმნილ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი იყო დამოუკიდებელი მოლაპარაკების დაწყება ოსმალეთის მთავრობასთან. კონფერენციის ჩატარების ადგილად განისაზღვრა ქალაქი ტრაპიზონი. ქართველი დიპლომატები იმედებს ამყარებდნენ მოლაპარაკებებზეც. ტრაპიზონის (1918 წლის 14 მარტი-5 აპრილი) და ბათუმის (გაიხსნა 1918 წლის 11 მაისს) კონფერენციებზე ამიერკავკასიისა და ოსმალეთის დელეგაციებს შორის ცილობის საგნად იქცა მე-19 საუკუნის რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად დაბრუნებული ქართული ტერიტორიები.

ამავე დროს კავკასიის ფრონტზე ვითარება თანდათანობით კრიტიკული ხდებოდა. ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებებით ოსმალეთის არმიამ 1 (14) აპრილს მოახდინა ქალაქ ბათუმის ოკუპაცია.

1918 წლის 14 აპრილს ბათუმის თვითმმართველობის შენობასთან შეიკრიბა ხმოსანთა და ქალაქის ინტელიგენციის ერთი ნაწილი. გადაწყდა ოსმალებთან გაეგზავნათ დელეგაცია. პარლამენტარები: ლორთქიფანიძე, თავბერიძე და დი-

მიტრიადი ავტომობილზე აღმართული თეთრი დროშით გაემართნენ მოწინააღმდეგის პოზიციებისაკენ. ოსმალთა არმიის პოლკოვნიკმა შეკრებილთ უთხრა% „არმიის მეთაურის ვეხიბ-ფაშას ბრძანებით, გიცხადებთ მადლობას პარლამენტარების გამოგზავნისთვის და პოლიციისათვის, რომელიც წესრიგს იცავს ქალაქში* ჩვენ ვთხოვთ პოლიციას, დარჩეს თავის ადგილზე, ხოლო საღამოთი დატოვოს პოსტი, რათა არ მოხდეს გაუთვალისწინებელი შემთხვევა. ჩვენი ცარები შემოვლენ ქალაქში და თუ მოსახლეობის მხრივ იქნება ლოიალური დამოკიდებულება, მაშინ მცხოვრებთ არავითარი საშიშროება არ ემუქრებათ“.

ამის შემდეგ დაიწყო ქალაქში ჯარის ნაწილების შემოსვლა. 14 აპრილს საოკუპაციო ჯარების სარდლობამ თურქულ, ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცა ბრძანება, რომელიც სამი პუნქტისაგან შედგებოდა. ახალი ხელმძღვანელობა მოსახლეობას მოუწოდებდა სიმშვიდის დაცვისაკენ, ურჩებს ემუქრებოდა სამხედრო-საველე სასამართლოთი, მოითხოვდა ყველა სახის ცეცხლსასროლი იარაღის ჩაბარებას. პირველი ღონისძიება, რითაც ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო ოლქის მართვა, იყო სახელმწიფო ქონების აღწერა. კონფისკაცია უყვეს საექსპორტო ნავთობს, აიკრძალა ნავთობპროდუქტების უნებართვოდ გატანა. ოსმალები არ მალავდნენ, რომ აკლდათ საწვავი და ამდენად, ბათუმის მარაგი მათთვის ძვირფას შენაძენს წარმოადგენდა.

პოლიტიკურ სფეროში განხორციელებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია ოლქის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობის შემოღება. პირველი გუბერნატორი, რომელიც სამი კვირის განმავლობაში მართავდა აჭარას, იყო ჰამიდ-ბეი. მან შექმნა დროებითი სამხედრო-პოლიციური სამმართველო, დაიწყო ძველი მმართველობითი აპარატის თანდათანობით გაუქმება და მის ნაცვლად ოსმალეთში არსებული სახელმწიფო აპარატის მოდელის დამკვიდრება. შემორჩენილ ძველ ორგანოებს კი არავითარ ანგარიშს აღარ უწევდნენ. მნიშვნელოვნად შეიზღუდა ქალაქის თვითმმართველობა% მას ჩამოართვეს სურსათის მთელი მარაგი და ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტის უფლება. დაწესდა კომენდანტის საათი. დადგენილი წესების დარღვევისათვის ხორციელდებოდა მკაცრი სადამსჯელო ღონისძიებები. გამონაკლისი გავრცელდა მხოლოდ რუსი მოსახლეობის მიმართ. პრიდადიან მასლოვის ირგვლივ დაირაზმა რუსი და სხვა ეროვნების მცხოვრებთა დიდი ჯგუფი, რომელიც გამოირჩეოდა მკვეთრი ანტიქართული განწყობილებით. პ. მასლოვმა მაღალი ჩინის ოსმალო ოფიცრებთან საუბრისას დაადასტურა, რომ რუსები ლოიალურად არიან განწყობილნი ახალი ხელისუფლების მიმართ. მან ოსმალთა ხელში ბათუმის გადასვლა კანონზომიერ მოვლენად ჩათვალა და აღნიშნა, რომ მართალია, ქალაქის დამცველთა შორის იყვნენ რუსები, მაგრამ ეს მოხდა არა მათი ინიციატივით, არამედ ქართველთა ზეწოლით. „ჩვენ მოგეცით ბათუმი ბრესტის ხელშეკრულებით და იმ დღიდან ვართ თქვენი გულითადი მოკავშირეები და მეგობრები“ - ამით დაასრულა საუბარი პ. მასლოვმა.

ოკუპაციის გამო ბათუმი დაცარიელდა. ძველი მმართველობის აპარატის დიდი ნაწილი გაიხიზნა ქალაქიდან. ბათუმი დატოვა თვითმმართველობის ხმოსანთა დიდმა ნაწილმაც. საჭირო გახდა სათათბიროს შევსება ახალი დეპუტატებით. ქალაქისთავის კ. საბახტარაშვილის წინადადებით, მმართველობა შეივსო ეროვნული საბჭოების წარმომადგენლებით. რუსული ეროვნული საბჭოდან სათათბიროში შევიდნენ პირწავარდნილი შავრაზმელები% ანისიმოვი, პარაიკოშიცი, სერებრიანიკოვი, ბუნაკოვი და სხვ.

1918 წლის 16 აპრილს ბათუმს ესტუმრა ოტომანთა იმპერიის სამხედრო მინისტრი ენვერ-ფაშა. ქალაქის თვითმმართველობის სახელით მას მიესალმა ბინიათ-ოღლი. საპასუხო გამოსვლაში ენვერ-ფაშამ აღნიშნა, რომ ოსმალები აქ მოვიდნენ არა როგორც დამპყრობლები, არამედ თავიანთი ძველი და განუყოფელი კუთხის დამბრუნებელნი. „ბათუმი და ბათუმის ოლქი უბრუნდება დედასამშობლოს“ - დაასრულა თავისი სიტყვა მინისტრმა. ეს იყო დამპყრობთა პირველი პოლიტიკური განცხადება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოკუპაციის გამო.

პარალელურად გრძელდებოდა ახალი ტერიტორიების ანექსია. ოსმალებს უკვე აღარ აკმაყოფილებდათ ბრესტის ზავი. 17 აპრილს ბრძოლები გაიმართა მდინარე ჩოლოქთან ნატანების მიმართულებით. მტერმა დიდი ზარალით დაიხია უკან. სამაგიეროდ, ოზურგეთის მიმართულებით, რომელსაც იცავდა მეოთხე ქართული ლეგიონი, მებრძოლებმა თითქმის უბრძოლველად დათმეს პოზიციები და უკუიქცნენ. ოსმალთა დაწოლის შედეგად ქართულმა ჯარმა დატოვა ოზურგეთიც და გადაინაცვლა ჩოხატაურში. აცნობა რა მომხდარი ფაქტის შესახებ, ლეგიონის უფროსმა, პოლკოვნიკმა წერეთელმა გენერალ გ. მაზნიაშვილს მისწერა% „მტერთან ახლოს ვარ“ და „გთხოვთ მომცეთ უფლება, მოლაპარაკება გავმართო“. 17-18 აპრილის ბრძოლები თავისი ხასიათით საოცრად წააგავდა 10-13 აპრილის ბრძოლას ბათუმის მისადგომებთან. აქაც თავი იჩინა შეუთანხმებლობამ და არაერთსულოვნებამ. ასე რომ, თუ ჩოლოქ-ნატანებთან ოსმალები სასტიკად დამარცხდნენ, სამაგიეროდ, ოზურგეთთან იოლი გამარჯვება მოიპოვეს. ამის გამო ჩოლოქის პოზიციების გამაგრებას აზრი დაეკარგა.

23 აპრილს დაიწყო ქართველთა კონტრშეტევა ოზურგეთის გამოსახსნელად. შეიქმნა მტრის განდევნის შესაძლებლობა, მაგრამ გიორგი მაზნიაშვილს თბილისიდან მოულოდნელად საომარი მოქმედების შეჩერების ბრძანება მოუვიდა (ოსმალეთისა და ამიერკავკასიის მთავრობას შორის დაიდო დროებითი ზავი). ამასთან დაკავშირებით გენერალი გ. მაზნიაშვილი იგონებდა% „ჩხენკელის ბრძანებას რამდენიმე საათით რომ დაეგვიანებინა, ოსმალეთის ჯარები ქალაქის დაცლას აპირებდნენ, ხოლო სამნეო დაწესებულებანი თავისი ბარგი-ბარხანით 11 საათზე უკვე გასული იყვნენ ოზურგეთიდან“.

ბათუმის ზავით სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ოსმალეთს დარჩა, მაგრამ ერს ასულდგმულებდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მაღალი იდეალები. ოლქის მოსახლეობის სულიერი თანადგომა და მზადყოფნა ერთიანი მომავლისათვის ფართოდ აისახა ამ კუთხის შვილთა მგზნებარე გამოსვლებში. „ჩემი გული ნაღველით ივსება, როდესაც ვიგონებ, რომ სამაჰმადიანო საქართველო დღეს ჩვენთან არ არის, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ დღეს თუ არა ხვალ, ჭირშიც და ლხინშიც თქვენთან იქნება“, - აღნიშნა ჰაიდარ აბაშიძემ 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით დამფუძნებელი კრების სხდომაზე გამოსვლისას.

ოლქის მოსახლეობის ბრძოლა განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათს იძენდა. ეს ტენდენცია მკვეთრი გახდა 1918 წლის 14 ივლისიდან, როდესაც ოსმალთა ხელისუფლებამ აჭარაში ჩაატარა რეფერენდუმი მოსახლეობის ორიენტაციის საკითხის გასარკვევად. რეფერენდუმი ოდნავადაც არ გამოხატავდა მკვიდრთა ნება-სურვილს. საალყო წესები, ქალაქში შესვლაზე მკაცრი მეთვალყურეობა, მოსახლეობის გახიზვნა და სხვ. გამორიცხავდა მის ობიექტურად ჩატარებას. ამასთან, გუბერნატორმა რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება დართო ისეთ პირებს, რომლებიც ქალაქში დროებით ცხოვრობდნენ (სპარსელები) და ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული აჭარის ბედით.

ოსმალეთის მთავრობა რეფერენდუმით ცდილობდა დაპყრობილ ოლქებზე თავისი უფლებების დაკანონებას, მაგრამ ეს არ აწყობდა არა მარტო ყოველმხრივ დაზარალებულ საქართველოს, არამედ გერმანიასაც. ამ უკანასკნელმა ოფიციალურადაც გამოთქვა პროტესტი ოსმალთა მხრივ ბრესტის ზავის მეოთხე მუხლით გათვალისწინებული რეფერენდუმის უხეშად დარღვევის გამო.

ოსმალებმა ბათუმში არ შემოუშვეს ქართველი ელჩი, რომლის წარმომადგენლობა, ადრე, მარინეს ქუჩაზე, საბაშვილის სახლში იყო მოთავსებული. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ასკერთა მაროდიორობა, მკვიდრთა ადათ-წესების შეურაცხყოფა. თავმოყვარე კაცი ვერ ითმენდა რა ასეთ უხეშობას, მომხდურს ტყვიით უმასპინძლდებოდა. ასკერთა მკვლელობისათვის კი ოსმალური სასამართლო სიკვდილით სჯიდა. დამცირება-შევიწროებისაგან მოსახლეობის არც ერთი ფენა არ იყო დაცული, გარდა რუსებისა. ისინი, განსაკუთრებით ოფიცრები, ქუჩაში დასეირნობდნენ მეფისდროინდელი სამხრეებით და ეწეოდნენ ქართველთა პროვოცირებას. რუსი მოხელეები თავისუფლად ჩადიოდნენ თბილისში, სადაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ რუსულ ეროვნულ საბჭოსთან. იქედან დაბრუნებულები კი მიმართავდნენ სხვადასხვა ანტიქართულ პროვოკაციას, რასაც ოსმალთა საამებლად აკეთებდნენ. როდესაც გენერალი ლიახოვი ყირიმიდან მეუღლესთან ერთად ბათუმში ჩამოვიდა, ვეჰიბ-ფაშამ აუდიენციის დროს „საპატიო სტუმარს“ ძვირფასი თასი უძღვნა.

ოსმალეთის ექსპანსიონისტურ ზრახვებში ერთმანეთს ყოველთვის ენაცვლებოდა მუქარისა და დაყვავების პოლიტიკა. ადგილობრივი მოსახლეობის გულის მოსაგებად სულთანმა აჭარაში დიდძალი თანხა გამოგზავნა. 1918 წლის 20 ივლისს კი ბათუმის სათათბირომ 6 დელეგატი წარგზავნა სტამბოლში. მათ ოლქის მოსახლეობის სახელით სულთან

(გაგრძელება მე-10 გვერდზე)



ახალი საგანი - „დემოკრატია და მოქალაქეობა“

სამოქალაქო განათლების კურსის „დემოკრატია და მოქალაქეობა” ბათუმის უნივერსიტეტში სწავლების შედეგების შესახებ, ვესაუბრეთ კურსის ლექტორს, იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასისტენტ—პროფესორს და საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის მთავარ მრჩეველს ზურაბ კვირკვაიას.

— ზურა, როგორც ვიცით აღნიშნული სასწავლო კურსი შარშან საპილოტე პროგრამის სახით დაინერგა ჩვენს უნივერსიტეტში. რა არის ამ კურსის მიზანი და რისი შეთავაზება შეუძლია სტუდენტებისთვის?

— სანამ უშუალოდ თქვენს შეკითხვას ვუპასუხებდე, პირველ რიგში, მინდა მივესალმო თქვენი გაზეთის მკითხველს და აღვნიშნო, რომ ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობაა ამ საკითხთან დაკავშირებთ ინფორმაციის გაცემა, რადგან შესაძლებლობა მეძლევა ერთი მხრივ წინ წამოვწიო სტუდენტური აქტივობები და შედეგები, რაც ვფიქრობ, ხელშესახებია მთელი ქალაქის მაშტაბით და მეორეს მხრივ, გამოვხატო მადლიერება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და პარტნიორი ორგანიზაციების მიმართ.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, სამოქალაქო განათლების კურსს „მოქალაქეობა და დემოკრატია“, რომელიც უნივერსიტეტში პირველად იკითხება, მხარდაჭერილია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მიერ.

აღნიშნულმა ორგანიზაციებმა ჩვენი სპეციალური პროგრამა გადაამზადა, რის შედეგადაც მოგვეცა ბათუმის უნივერსიტეტში ამ სასწავლო კურსის წაკითხვის ექსკლუზიური უფლება.

კურსის მთავარი მიზანია, სტუდენტებში მაღალი სამოქალაქო აქტიურობის ხარისხის მიღწევა და მათში ინიციატივების სტიმულირება, ასევე, ისეთი უნარების ჩამოყალიბება, რომელიც შესაძლებლობას მისცემთ უფრო ორგანიზებულად დაძლიონ როგორც მათ წინაშე მდგარი ამოცანები, ასევე ცალკეული საზოგადოებრივი პრობლემები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაუღვივდებათ ცნობისმოყვარეობა და „ინტრიგა—მომეტებულ“ ადამიანებად ჩამოყალიბდებიან (ეღიმება).

— სამოქალაქო აქტიურობის დეფიციტი ჩვენი სინამდვილისათვის დამახასიათებელია, რაც ალბათ უფრო ზრდის მსგავსი პროექტების მნიშვნელობას?

— არ შემიძლია არ დაგეთანხმოთ. მართლაც, ჩვენი არცთუ შორეული ისტორიული წარსული საბჭოთა სისტემას უკავშირდება. მოგეხსენებათ, ამ სისტემისათვის დამახასიათებელი ადამიანში იყო პირადი, კერძო ინიციატივების „დაჩლუნგება“. სახელმწიფო ადგენდა მორალს, ის ერეოდა ადამიანის პირადი ცხოვრების ისეთ სფეროებში, როგორიცა: ჩაცმა, კვება მომავალი დღის დაგეგმვა და ა. შ. მაგალითად, მახსოვს რომ არაპოპულარული იყო ყავა, ხოლო „ცენზურისაგან“ გათავისუფლებული იყო კაკაო (იცინის). როგორც წესი პოსტკომუნისტურ საზოგადოებებს აღნიშნული პრობლემა „ლაით მოტივად“ თან სდევს ხოლმე და ასეთ დროს, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს საზოგადოების გამოცოცხლება. ამ კურსის მთავარ მიზანსაც ხომ სწორედაც ეს წარმოადგენს.

— უფრო კონკრეტულად რომ ვისაუბროთ, როგორ მიმდინარეობს სწავლების პროცესი, რითი განსხვავდება სხვა საგნების სწავლების მეთოდისაგან?

— აღნიშნული საგანი ჩვენს უნივერსიტეტში შემოღებულია პირველი კურსის პირველი სემესტრის სტუდენტებისათვის და იგი სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე იკითხება სამართალმცოდნეობის, მენეჯმენტის, ფინანსების, საბუღალტრო და საგადასახადო საქმის, ფსიქოლოგიის, მარკეტინგის, ევროპისმცოდნეობის, ეკონომიკის და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტებისათვის (თუმცა, არ არის გამორიცხული მომავალში მისი სწავლების არეალი გაფართოვდეს).

აუდიტორიის შერჩევისას გავითვალისწინეთ ენთუზიაზმის დონე. კერძოდ, როდესაც ეს საკითხი წყდებოდა, მოგვიწია არჩევანი გაგვეკეთებინა პროექტის ხარისხსა და პოტენციურად მაღალი ენთუზიაზმის მქონე მოხალისეთა ჯგუფებს შორის. საბოლოოდ, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომ იგი ორიენტირებულია მიზნობრივი ჯგუფების მიერ კონკრეტული პროექტების განხორციელებისაკენ, გადაწყდა მისი შეთავაზება პირველი კურსის პირველი სემესტრის სტუდენტებისათვის. მოგეხსენებათ, ეს კატეგორია ხასიათდება ყველაზე მაღალი ენთუზიაზმის დონით, ხოლო პროექტების განხორციელება კი დაკავშირებულია მაღალი აქტივობის გამოვლენასთან. შევეცადეთ, თვით პროექტის განხორციელება მოხალისეების მიერ არ ყოფილიყო აღქმული, როგორ მოვალეობა (ტვირთი), რომელიც მას „აკიდეს”.

ამასთან, სტუდენტობის პირველი დღეებიდან იმ უნარების შეძენა (განმტკიცება), რომელიც პროექტის განხორციელებას თან სდევს, აყენებს ამ კატეგორიის სტუდენტებს სხვებთან მიმართებით სასტარტო უპირატესობაში. აღნიშნული უპირატესობა ცალსახად იგრძნობა, როდესაც „დემოკრატია და მოქალაქეობის” სტუდენტები ხვდებიან სხვა სტუდენტებს ერთ აუდიტორიაში, თუნდაც განსხვავებული საგნების გავლის დროს. ისინი განსხვავდებიან მათ წინაშე მდგარი პრობლემების თუ ამოცანების გადაჭრის მიდგომებშიც. აღნიშნული შეხედულება მინდა აღიქვას საზოგადოებამ (მკითხველმა), რადგან ვინმეს შესაძლებლობების დაკნინება მხედველობაში არ მქონია.

რაც შეეხება კურსის სწავლებას, იგი ხორციელდება უახლესი მეთოდების გამოყენებით. სწავლება შეიცავს აუდიტორიულ და არააუდიტორიულ აქტივობებს. სტუდენტს მთელი სემესტრის განმავლობაში ყოველი მომდევნო აუდიტორიული შეხვედრა უტარდება განსხვავებული მეთოდით, რაც უფრო საინტერესოსა და სახალისოს ხდის სწავლების პროცესს.

სწავლებისას დიდი ყურადღება ეთმობა სტუდენტური პროექტების განხორციელებას. ისინი პრობლემებს ავლენენ ქუჩაში პირდაპირი გამოკითხვების თუ სხვა სახის სოციოლოგიური კვლევების საფუძველზე. ამის შემდეგ უკვე ხდება კონკრეტულ პრობლემაზე ფოკუსირება და მისი გადაჭრის სტრატეგიის შემუშავება. პროექტის ფარგლებში მათ უნდა ითანამშრომლონ როგორც საჯარო დაწესებულებებთან, ასევე, არასამთავრობო სექტორთან, რაც თავის მხრივ, ფასდაუდებელ გამოცდილებას აძლევს მათ. თუ პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე მათ ცალკეულ შემთხვევაში შესაბამისი დაწესებულების მოძიებისა თუ ელემენტარულად უბრალოდ განცხადების ტექსტის მომზადება უჭირთ, საბოლოო ეტაპზე სიღრმისეულად ახდენენ პრობლემის შესწავლას და ახერხებენ მათ გადაჭრასაც, რასაც არაერთი განხორციელებული პროექტი მოწმობს.

— რამდენი ასეთი პროექტი განახორციელეთ და ხომ არ გამოყოფთ რომელიმე მათგანს?

— კურსის ფარგლებში განხორციელდა დაახლოებით სამ ათეულზე მეტი ისეთი პროექტი, სადაც შედეგი ხელშესახები იყო. რამდენიმე კი რეგიონული მედიის ყურადღების ქვეშაც მოექცა, მომზადდა ტელეგადაცემები. ჩემთვის განსაკუთრებით რთული იქნება გამოვყო რომელიმე, რადგან თითოეული მათგანი — თავისი მიზნიდან გამომდინარე, ერთობ მნიშვნელოვანია. განხორციელებული პროექტები საზოგადოებისთვის განსაკუთრებით მწვავე საკითხებს შეეხება.

შეზღუდული შესაძლებლობები

პროექტის მიზანი იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია, პრობლემის შესახებ საზოგადოების ინფორმირება; საკითხში კომპეტენტური ორგანიზაციების დამოკიდებულების გამორკვევა და აქტიურად ჩართვის წახალისება.

ასევე, ცალკეული ღონისძიებების გატარება მათი პრობლემების მოსაგვარებლად.

პროექტის შედეგად მოხდა საზოგადოების ნაწილში სანოების, თანადგომის, მხარდაჭერის

და სოლიდარობის გრძნობის გაღვივება, საქველმოქმედო აქციისგან შემოსული თანხით, ერთერთი უნარშეზღუდულის (მარიამ იაკობიძის) 1 წლიანი სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება და საქველმოქმედო კონცერტისაგან შემოსული თანხისა და სხვა სახის შემოწირულობების 22 უნარშეზღუდულისათვის გადანაწილება.

ბილეთიზაცია

პროექტის მიზანი იყო ხალხის ინფორმირება ბილეთის გატარების მნიშვნელობაზე, უბილეთო მგზავრების შემცირება და შესაბამისად, სატრანსპორტო ქსელის განვითარების ხელშეწყობა. პროექტის შედეგად კი ოფიციალური სტატისტიკით 10% შემცირდა ქ. ბათუმში უბილეთო მგზავრთა რაოდენობა.

დეფიბრილატორი (უეცარი კარდიული სიკვდილის პრევენცია)

პროექტის მიზანი იყო ჩვენს რეალობაში უეცარი კარდიული სიკვდილის პრევენციის სადღეისოდ აპრობირებული და მიღებული სტრატეგიების დანერგვა და ამუშავება;

პროექტის შედეგად მოხდა „გადამრჩენი ჯაჭვის” ამუშავება, უნივერსიტეტში და სხვა დაწესებულებებში არსებული სამედიცინო პერსონალის გადამზადება, რეგიონალურ მედიაში ვრცელი საინფორმაციო სიუჟეტის მომზადება/გაშუქება. ამასთან, ყველა მსხვილ დაწესებულებაში იქნება, ან დაემატება როგორც დეფიბრილატორი ასევე, ერთი ან რამოდენიმე გადამზადებული პირი, რომლებიც შეძლებენ საჭიროების შემთხვევაში დაზარალებულს აღმოუჩინონ პირველადი სამედიცინო დახმარება.

რაც შეეხება, უშუალოდ განხორციელებულ პროექტებს, პირობითად შეიძლება დავყოთ საქველმოქმედო და სხვა სახის სოციალურ პროექტებად, რომელთა მიზანს საზოგადო პრობლემების მოგვარება წარმოადგენდა. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ასე მაგალითად: სამოქალაქო განათლება და მაღალმთიანი აჭარა; შეზღუდული შესაძლებლობები; წიგნი და ახალგაზრდობა; ხმოვანი შუქნიშნები; უსახლკარო ბავშვები ბათუმის ქუჩებში; მაწანწალა ძაღლები; დეფიბრილატორი; აზარტული თამაშების რისკი და უკონტროლობა; კვება და ჰიგიენა; ერთი დღე უმწეოთათვის; სამოქალაქო ცნობიერება არასრულწლოვანებში; ჩვენ მათ ვჭირდებით; ჯანსაღი ცხოვრება; აუსრულოთ ოცნებები მიუსაფარ ბავშვებს; პროსტიტუცია; რატომ არ გვაქვს წყალი? არა პოლიეთილენის პარკებს; ჩვენც დავბერდებით; ბილეთიზაცია; ტოტალიზატორში; მზრუნველობამოკლებული ბავშვები და განათლება; მწვანე გარემო; მე მინდა ვიყო ჯანმრთელი; „მიუსაფარი ადამიანები“; დონორიზაცია; ლეიკემია; ასაკის შესაბამისი განათლება და ა.შ.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციებიდან მუდმივად ხორციელდება კურსის მინდინარეობის შესახებ მონიტორინგი და მათ კვლევებში „ბათუმის სტუდენტურმა პროექტებმა“ განსაკუთრებული მაღალი შეფასება დაიმსახურა. ამასთან, 5 პროექტის მიმართ მათი მხრიდან გამოიხატა დაინტერესება, რომ ისინი აისახოს სახელმძღვანელოში, როგორც ნიმუში მომავალი სწავლებისათვის. იმედია ამ განცხადებას მკითხველი კადნიერებაში არ ჩაგვითლის.

— რა განსაკუთრებული მოლოდინი უნდა ჰქონდეთ სტუდენტებს თუ ისინი გაივლიან ამ კურსს?

— კურსის გავლის პარალელურად თეორიულ ცოდნასთან ერთად სტუდენტებს გამოუმუშავდებათ ისეთი უნარჩვევები, როგორიცაა: გუნდური პასუხისმგებლობა, სოლიდარობა, ორგანიზებულობა, ტოლერანტობა, განსხვავებული აზრის „ატანა“, რაც განსაკუთრებულად მტკივნეული და პრობლემატური საკითხია ჩვენი საზოგადოებისათვის. ხდებიან მეტად თავდაჯერებულნი. შეძლებენ ნაკლები დროისა და რესურსის ხარჯვით დასახული მიზნების განხორიელებას. ამ ინტერვიუსთვის სპეციალურად წამოვიღე ამონარიდები სტუდენტური პროექტებიდან, სადაც მათი ის გულწრფელი დამოკიდებულებაა გადმოცემული, რომლებიც პროექტების განხორციელების შედეგად გაუჩნდათ. ვფიქრობ, ეს ემოციები ყველაფერზე მეტყველებს (კითხულობს):

„... უფრო მეტი, ვიდრე შეგრძნება თავისუფლებისა“

„მე შემიძლია შევიტანო ჩემი წვლილი რეალური სამყაროს შეცვლაში“

„... დიახ, ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით“

„მე განვხორციელდი მიზანში“

„მე საზოგადოების „გადამრჩენი ჯაჭვი“ ვარ...“

„მე ვიწამე საკუთარი ძალების “

„... და იცით, ჩვენ ვატრიალებთ დედამიწას, დომენიკო...“

ინტერვიუს დასრულების ზურამ გვთხოვა აღვნიშნა, რომ ის ბოდიშს უხდის პროექტის იმ თითოეულ წევრს, რომლის განხილვა ინტერვიუს შეზღუდული ფორმატის გამო ვერ მოხერხდა და მისი სახელით მოგველოცა სტუდენტებისათვის, განსაკუთრებით კი პირველკურსელებისათვის, სასწავლო წლის წარმატებით დასრულება.

შეზღუდული შესაძლებლობები

ბილეთიზაცია

დეფიბრილატორი
(უეცარი კარდიული სიკვდილის პრევენცია)

ვიწრო ადამიანური ინტერესებით შექმნილი ქართული კონსტიტუციონალიზმის თავფურცლები და ზოგიერთი უახლესი აქტუალური საკითხი

გასული საუკუნის 90-იანი წლების დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიამ მეტად საინტერესო, მრავალფეროვანი და ზოგჯერ არაორდინალური სიახლეების რთული გზა განვლო. ქვეყანაში არსებულ გარდამავალ ეტაპზე ჯერ იყო 1978 წლის საბჭოური კონსტიტუცია მასში შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით, მერე ე.წ. „მცირე კონსტიტუციად“ ცნობილი კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, და ბოლოს, 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, მასში დღემდე არაერთგზის შეტანილი ზოგჯერ თუნდაც არსებითი და კონკრეტულ პირზე თუ პირებზე მორგებული საკონსტიტუციო ცვლილებები და დამატებები. ბოლო ჩემეული და არა მხოლოდ ჩემეული, არამედ ქართული საზოგადოების საღად მოაზროვნე ადამიანების ნაფიქრალი და გაკეთებული დასკვნები არაერთხელ მითქვამს ჩემი სტუდენტ-ახალგაზრდებისათვის თუ ადამიანთა სხვა ჯგუფებისათვის.

ცნობილია, რომ 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუციით საქართველო ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკად უნდა გაფორმებულიყო, საკონსტიტუციო რეფორმაზე მომუშავე ჯგუფის მიერ მომზადებული იყო ზუსტად ის პროექტი კონსტიტუციისა, სადაც გათვალისწინებული იყო პრემიერ-მინისტრის თანამდებობა და მინისტრთა კაბინეტის სისტემა. საპარლამენტო განხილვების ბოლო ეტაპზე აღმოჩნდა, რომ უარი ითქვა ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელზე და ერთი ხელის მოსმით სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკა გაფორმდა. ამ შემთხვევაში გამოთქვამთ ჩვენეულ საფუძვლიან ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რომ ალბათ ყოფილი საბჭოური მაღალი ე.წ. „ცეკა“-ს ნომენკლატურიდან უზომოდ დიდ ძალაუფლებაზე შეყვარებულ ადამიანებს კონსტიტუციის დონეზე გაუფორმეს დიდი კომპეტენციები, რა თქმა უნდა, ხელისუფლების დანაწილების ძირითადი კონსტიტუციური პრინციპის აშკარა უგულებელყოფით. ასე იყო სწორედ საქართველოშიც და თითქმის პოსტსაბჭოთა სივრცის ყველა ქვეყანაში. ვფიქრობთ, იმთავითვე ჩვენი ქვეყნისთვის შერჩეული მართვა-გამგეობის არასწორი და დამახინჯებული ფორმა იყო უმთავრესად ძირითადი მიზეზი 1995-2003 წლებში გამეფებული მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისისა, რასაც შედეგად მოჰყვა ე. წ. „ვარდების რევოლუცია“. თუმცა, აქაც ვერ დავეთანხმებით ზოგიერთი მაღალი რანგის პოლიტიკური თანამდებობის თუ სხვა პირთა მოსაზრებას, რომ თითქოს „ვარდების რევოლუციის“ ძირითადი მიზეზი გაყალბებული არჩევნები იყო. ვფიქრობთ, უპირველესი მიზეზი სწორედ ქვეყანაში გამეფებული მძიმე სოციალური პირობები და დაუსჯელობის სინდრომი იყო. ნათლად ჩანს, თუ რა მძიმე შედეგები მოაქვს ერთი კაცის ან ვიწრო ჯგუფის ადამიანების ინტერესებზე კონსტიტუციის მორგებას.

ერთი კაცის და ვიწრო ადამიანური ჯგუფის ნაზრევი იყო 2004 წლის თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებები და დამატებებიც, ოღონდ გაცილებით ფართო მასშტაბებით მოარგო საკუთარ ინტერესებს ქვეყნის კონსტიტუცია ე.წ. ,,ვარდების რევოლუციის“ ლამის მამად შერაცხულმა გვირგვინოსანმა და დღემდე მოქმედმა, თუმცა თავისი საკონსტიტუციო უფლებამოსილების ვადაამოწურულმა და არალეგიტიმურმა პრეზიდენტმა. ფაქტობრივად, თითქმის ხელუხლებელი დარჩა კონსტიტუციის მხოლოდ მეორე თავი, სადაც ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებზეა საუბარი, კონსტიტუციის დანარჩენი ნაწილი კი აბსოლუტურად შეიცვალა და საპრეზიდენტო რესპუბლიკის თითქოს ამერიკული კლასიკური მოდელიდან ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელზე გადავედით. სამწუხაროა, რომ ამ მოდელისთვის დამახასიათებელი ვერანაირი კლასიკური ნიშანი ვერ იქნა გაფორმებული საკონსტიტუციო დონეზე და არც მონინავე ევროპული (საფრანგეთი, პოლონეთი, ფინეთი, ლიტვა, უკრაინა) თუ სხვა სახელმწიფოთა გამოცდილება იქნა გაზიარებული. ის კი არა და, ,,ვარდების რევოლუციიდან“ უმოკლეს დაახლოებით 70 დღიან ვადაში განხორციელებული სიღრმისეული საკონსტიტუციო რეფორმა ვერანაირად ვერ ასახავდა ქვეყნის რეალურ ინტერესებს და ასეთი კონსტიტუცია ვერც ქვეყნის სავიზიტო ბარათად ვერ გადაიქცეოდა. თუმცა, აქ მიზეზი მხოლოდ დროის სიმცირეში არაა, პრობლემა უფრო ვიწრო ინტერესებზე გადის... მახსოვს, იმჟამად თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრაზე ვმუშაობდი დოცენტის თანამდებობაზე, კათედრის გამგე გახლდათ სახელოვანი მეცნიერი, პროფესორი აწგარდაცვლილი ბატონი გიორგი ინწკირველი. ბატონ გიორგი ინწკირველთან საკონსტიტუციო რეფორმებთან დაკავშირებით თითქოს კონსულტაციების მისაღებად მოვიდა მაშინდელი ახალი ხელისუფლების მაღალი პოლიტიკური თანამდებობის 3 კაციანი ჯგუფი (მათ ვინაობის დასახელებას აღარ ვთლით მიზანშეწონილად), გამართული საუბრის მერე ბატონმა გიორგი ინწკირველმა, იმდენად, რამდენადაც თვითონ წმინდა სამართლის თეორეტიკოსი გახლდათ, ეს პირები კონსულტაციებისთვის საქართველოში ცნობილ იურისტ-კონსტიტუციონალებისკენ (პროფ. ზ. ჯინჯოლავა, პროფ. ო. მელქაძე, პროფ. პ. ცნობილაძე და სხვა ახალგაზრდა დამწყები მეცნიერ-კონსტიტუციონალები — პროფ. ნ ჭიღლაძე, პროფ. გ. კვერენჩხილაძე, პროფ. კ. ყურაშვილი, პროფ. გ. გოგიაშვილი და სხვ.) გადაამისამართა. თუმცა, ზემოთ აღნიშნულმა იმ 3 კაციანმა ჯგუფმა აღარ ისურვა კონსულტაციების მიღება ცნობილ კონსტიტუციონალისტებისაგან, რამეთუ მათი იმთავითვე სწორი მიდგომები ქვ?ყნის საკონსტიტუციო რეფორმებთან დაკავშირებით ისედაც ცნობილი იყო მათთვის და ისინი რაღაც ვიწრო ჯგუფის თუ ერთი ადამიანის ინტერესებზე ქვეყნის კონსტიტუციის მორგების იდეას მხარს არასოდეს დაუჭერდნენ. შესაბამისად, მაშინდელი ნაციონალური მოძრაობის პოლიტელიტის სულ მცირე ჯგუფის მიერ მომზადებული საკონსტიტუციო რეფორმა განხორციელდა, რა თქმა უნდა, თუ ამას რეფორმა ჰქვია.

აღნიშნული საკონსტიტუციო რეფორმით პრეზიდენტი ფაქტობრივად კვლავ სუპერპრეზიდენტად მოგვევლინა მისთვის კომპეტენციების უზომოდ აღჭურვილობის გამო. სხვა უფლებამოსილებებთან ერთად, განსაკუთრებით დიდი უფლებამოსილებები მიითვისა მთავრობის ხარჯზე. აღმოჩნდა, რომ მთავრობის ჩამოყალიბების არატრადიციული, არაკლასიკური თითქმის იგივე რუსული მოდელი იქნა დამკვიდრებული, რაც გულისხმობდა, რომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე სახელდებოდა არა საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული სადეპუტატო მანდატების უმრავლესობის მქონე პარტიის ლიდერი, არამედ შეიძლება ითქვას პრეზიდენტის ფავორიტი ფიგურა. ასე იყო სწორედ ყველა შეცვლილი პრემიერ-მინისტრი, რომლებიც ფაქტობრივად პრეზიდენტის მიერ ერთპიროვნულად შერჩეული და დასამტკიცებლად წარგზავნილი კანდიდატები იყვნენ პარლამენტში. ყოველივე ამას ემატებოდა ისიც, რომ თითქმის ერთპიროვნულად შეარჩევდა, ნიშნავდა და ათავისუფლებდა თანამდებობიდან შინაგან და თავდაცვის მინისტრებს. ამიტომაც იყო, რომ მთავრობის ჩამოყალიბების არასწორი ფორმის გამო, როცა პრემიერ-მინისტრი და მინისტრები, საქმიანობის განხორციელებისას ვერ ინარჩუნებდნენ ვერანაირ დამოუკიდებლობას, მუდმივი შიშისა და ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მუშაობდნენ. ამიტომაც იყო, რომ ხშირად ისინი დამოუკიდებლად ვერანაირ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ვერ იღებდნენ და მუდმივად პრეზიდენტის მითითებისა და ბრძანებების მოლოდინის რეჟიმში რჩებოდნენ. გამოდის, რომ მთავრობის ფაქტობრივ მეთაურადაც და მთელი სამთავრობო პოლიტიკის რეალურ წარმმართველ და განმახორციელებელ სუბიექტად პრეზიდენტი მოგვევლინა.

მთავრობის ჩამოყალიბების არაკლასიკურ ფორმას საკონსტიტუციო დონეზე პარლამენტისა და მთავრობის ნდობა-უნდობლობის არატრადიციული მექანიზმების გაფორმებაც მოჰყვა შედეგად. მაშინ, როცა პრემიერ-მინისტრი და ე. წ. ძალოვანი მინისტრები პრეზიდენტის ხელდასმული ფიგურები იყვნენ, სავარაუდოდ პარლამენტსა და მთავრობას შორის პოლიტიკური კრიზისის აღმოცენების შემთხვევაში, პრეზიდენტი ვერანაირად ვერ იქნებოდა რეალური არბიტრის როლის შემსრულებელი, რამეთუ თითქმის ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, ყოველგვარ უთანხმოებას მთავრობასა და პარლამენტს შორის მთავრობის სასარგებლოდ გადაწყვეტდა, ანუ რეალურად ხელუხლებლად დატოვებდა მთავრობას და დაითხოვდა პარლამენტს. შესაბამისად, პარლამენტი თითქმის პრეზიდენტის მუდმივ „მორჩილებაში“ რჩებოდა და იგი დაკნინებულ და თითქმის უავტორიტეტო ორგანოდ იყო გადაქცეული, დეპუტატები კი ლამის ნოტარიუსებად მოგვევლინენ. ამის ნათელი დასტურია ის, რომ ბოლო 9 წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა მასშტაბური რაოდენობის სხვადასხვა სახის საკანონმდებლო აქტი მიიღო და პრეზიდენტს არაცერთხელ არ გამოუყენებია სუსპენზიური ვეტოს უფლება, მაშინ, როცა 2012 წლის 1 ოქტომრის შემდეგ პერიოდში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ თითქმის ყველა აქტზე ეს უფლება აქტიურად იქნა გამოყენებული.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გაჩნდა აშკარა საფრთხე იმისა, რომ პრეზიდენტს შეიძლება ყოველგვარი სათანადო რეალობის გარეშე დაეთხოვა ახალ ჩამოყალიბებული მთავრობა კონსტიტუციით მისთვის არაკლასიკური ფორმით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით, თუმცა, ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების შემდეგ ეს საფრთხე თითქმის გამოირიცხა, მაგრამ პრეზიდენტის ხელში ჯერჯერობით მაინც დარჩა უმნიშვნელოვანესი უფლება ძალოვანი მინისტრების თანამდებობიდან გადაყენებისა. ამ უფლების გამოყენების შემთხვევაში კი ქვეყანაში არსებული სიტუაცია შეიძლება უმართავ პროცესებშიც კი გადაიზარდოს.

2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ მნიშვნელოვანი რეფორმა გატარდა საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. ფაქტობრივად, აღნიშნულ რეფორმამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მთელ შემადგენლობას და მოსამართლეთა სადისციპლინო ადმინისტრაციულ კომიტეტს თითქმის ერთპიროვნულად აყალიბებდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, შესაბამისად ყველა მოსამართლე ფაქტობრივად პირდაპირ არა, მაგრამ ირიბად მაინც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გავლენის ქვეშ ექცეოდა. ვფიქრობთ, საერთო სასამართლოებში ბოლოს განხორციელებული რეფორმის შედეგად, უდავოდ გაიზრდება მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი მხრიდან მიღებული აღარ იქნება მიკერძოებული და არაობიექტური გადაწყვეტილებები.

ჩვენ მიერ განხილული საკითხები რა თქმა უნდა მცირედი ნაწილია იმ პრობლემათა ჩამონათვალისა, რომლებიც ქართული კონსტიტუციონალიზმის აქტუალურ და ყურადსაღებ თემებად კვლავ რჩება დღესაც. ვფიქრობთ, უპირველესად საჭიროა უახლოეს მომავალში შეიქმნას საკონსტიტუციო რეფორმაზე მომუშავე სახელმწიფო კომისია, რომელიც მოამზადებდა ქართული კონსტიტუციის ახალ პროექტს და ეს პროექტი იქნებოდა ქვეყნის ყველა პოლიტიკური ძალისა და სოციალური ფენის კონსენსუსის შედეგი. სამომავლოდ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქვეყნის მართვა-გამგეობის პერსპექტიულ მოდელად საპარლამენტო რესპუბლიკა იქნეს შერჩეული და ამ კომისიამაც შესაბამისად ამ მოდელის პროექტის მომზადებაზე იმუშაოს.

ომარ მახარაძე,
ასოცირებული პროფესორი

გულითადი მადლობა ყველას

ცოტა ხნის წინ დაბადებიდან 75, სასწავლო-პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის 50 წლის თავი შემისრულდა.

პროფესორები: ნოდარ ბარამიძე, ბიჭიკო დიასამიძე, შოთა მამულაძე, (გაზ. „ბათუმის უნივერსიტეტი“, რედაქტორი — ი.სანიკიძე, №5, 2012 წლის მაისი), გაზეთ „აჭარის“ ფურცლებიდან (რედაქტორი- გ. გორგილაძე) პროფესორები: ნოდარ ბარამიძე, ბიჭიკო დიასამიძე, იური ბიბილეიშვილი, სერგო ტაბაღუა, აკაკი ზოიძე სპეციალური წერილებით გამომეხმაურნენ და მომილოცეს ეს დღე.

უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ალიოშა ბაკურიძის ინიციატივით, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის (ხელმძღვანელი პროფ. შ. მამულაძე) ორგანიზებით კოლეგების, მეგობრების, მონაწილეობით უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა საიუბილეო საღამო, რომელზეც თბილი სიტყვებით გამოვიდნენ პროფესორები: რექტორი — ალიოშა ბაკურიძე (შესავალი სიტყვა), აკაკი ზოიძე (მომხსენებელი); მისალმებით — ბიჭიკო დიასამიძე, ნოდარ ანტონის-ძე ბარამიძე, ნოდარ ბარამიძე, შოთა მამულაძე, მამია ფაღავა, ანზორ დიასამიძე, რეზო ზოსიძე, შოთა ბოლქვაძე. ინფორმაცია გადაიცა აჭარის ტელევიზიითა და „ტელეარხი-25“-ით. ამასთან დაკავშირებით მანანა თავდგირიძის წერილი „ღვაწლმოსილ მეცნიერს მოეფერნენ“ დაიბეჭდა გაზეთ აჭარაში“ (№139, 2012წელი, გვ.7). პირადი წერილებით მომილოცეს დაბადების დღე პროფესორმა იბრაიმ დიდმანიძემ და დოქტორანტმა კახა ქამადაძემ.

ჩემს საიუბილეო დღეებს გამოეხმაურნენ სხალთა-ხიხანის ხეობის თხილვანის ეთნოგრაფიული მუზეუმი (დირექტორი შ. ბოლქვაძე) და აბუსერისძე ტბელის სახელობის თხილვანის საჯარო სკოლა (დირექტორი ე. ბოლქვაძე), თემში შემავალი დავით მამულაძის სახელობის ქვედა თხილვანის (დირექტორი რ. ქამაშიძე), სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის ბაკოს (დირექტორი ხ. დუმბაძე) და შერიფ ხიმშიაშვილის სახელობის მთისუბნის (დირექტორი ა. თურაძე) საჯარო სკოლების თანამონაწილეობით თხილვანის საჯარო სკოლაში (სადაც ვსწავლობდი, ვიყავი მასწავლებელი, დირექტორი) ჩატარდა საიუბილეო საღამო, რომლის შესახებ შოთა ბოლქვაძის ვრცელი წერილი „შეხვედრა თვილვანაში“ გამოქვეყნდა რაიონულ გაზეთში „ხულო“ (რედაქტორი ზ. ტუნაძე, 1-15.01.2013 გვ.6). არაერთმა მეგობარმა და კოლეგამ სხვა ქალაქებიდან ტელეფონით, წერილით მომილოცა საიუბილეო დღე.

განსაკუთრებული გულითადობით აღვნიშნავ რექტორის, ბატონი ალიოშა ბაკურიძის გულისხმიერებას, სითბოსა და ყურადღებას ჩემდამი, რაც მე აღვიქვი, როგორც უფროსი თაობისადმი რექტორის კეთილშობილურ დამოკიდებულებად, კარგი ხელმძღვანელის საუკეთესო თვისებად.

გულითად მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც გაიზიარა ჩემი სიხარული და სამოცდათხუთმეტწლიანი გზისა და ორმოცდაათწლოვანი მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა.

მადლიერებით აღვნიშნავ ტელევიზიებისა და დასახელებული გაზეთების სარედაქციო კოლეგიების მხარდაჭერას და ჩემდამი გამოჩენილ ყურადღებას.

მზად ვარ თქვენი და სამშობლოს სამსახურისათვის.

სერგო დუმბაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ხიხანოლი ნავკო უკუ — ხუ იმიმბილ ოდოესსნიდ ი

ქართული ენის საგანძურის მფლობელი, დიდი ქართველი პოეტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე გიორგი ლეონიძე ლექსში „სამშობლოს“ წერდა: „სიცოცხლეს ვერვის დავესესხები, თუ სამშობლოსგან გავიწირებიო“. ეს სიტყვები ამაყად შეეძლო წარმოეთქვა სახელოვან მამულიშვილს, სამშობლოს ნათელი მომავლისთვის წმინდა ზვარაკად შეწირულ დიდებულ ქართველს, სელიმ ფაშა ხიმშიაშვილს.

... 1815 წელმა ავი ფეხით შემოაბიჯა ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში მოქცეულ აჭარაში. სამშობლოს განთავისუფლების მახარობელი ნიავი ქროდა მაშინ აჭარის მთასა და ბარში. ხიხანის ციხეში გამაგრებულ მებრძოლთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. მოსახლეობა იმედის თვალით შეჰყურებდა სამშობლოს განთავისუფლების მედროშეს სელიმ ხიმშიაშვილს, რომელიც მთის არწივივით თავს დასტრიალებდა, აგულიანებდა ხიხანის ციხეში—არწივთა საბუდარში — შეკრებილ მხედრობას.

სელიმ ხიმშიაშვილი 1803 წლიდან ახალციხის საფაშოს ედგა სათავეში და ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო მმართველობის მაღალი თანამდებობის მფლობელი იყო, ფაშის წოდებას ატარებდა. ამის მიუხედავად, მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თავისი წვლილი შეეტანა საქართველოს გაერთიანების უკეთილშობილეს საქმეში, დაკარგული მხარეები დაებრუნებინა სამშობლოსათვის. იგი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, დაკავშირებული იყო ქართლ—კახეთის სამეფო კართან; უფლისწულებთან კიდეც მეგობრობდა; შეხვედრები ჰქონდა ერეკლე მეორესთან, სოლომონ მეორესთან; მამია გურიელის მოყვარე იყო. მის ვაჟს აბდი ბეგს დანიშნული ჰყავდა სიმონ გურიელის ქალიშვილი კესარია. გადმოცემის თანახმად, იგი ესწრებოდა ერეკლე მეორისა და გიორგი მეთორმეტის დაკრძალვას; ახლო ურთიერთობა ჰქონდა ერეკლე მეორის სასახლეში დაწინაურებულ პიროვნებასთან — იოსებ მიშკარბაშთან. იგი სწორედ იოსების საშუალებით აწარმოებდა მიმოწერას ამიერკავკასიის მეფის ნაცვალთან — ციციანოვთან და გურიის მთავართან მამია გურიელთან.

ახალციხის საფაშო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელთთავშესაფარი იყო. 1801 წლიდან საქართველოში გაჩაღებული ეროვნული მოძრაობა რუსეთის სახელმწიფო მოხელეებს მოსვენებას არ აძლევდა. ქართველთა მიერ სამშობლოს თავისუფლების მოსაპოვებლად გაღებული სისხლი უხვად იღვრებოდა. მეფის მთავრობა სასტიკად უსწორდებოდა აჯანყებულებს. ცოცხლად გადარჩენილები თავს აფარებდნენ ახალციხეს, სადაც მათ მზრუნველობას არ აკლებდა დიდი სელიმ ხიმშიაშვილი.

ცხადია, მტერს არ ეძინა. 1815 წლის დასაწყისში სელიმი ახალციხეში ძალიან შეავიწროვეს, საყრდენი ძალები გამოაცალეს, თანამებრძოლები გაუნახევრეს და იძულებული გახადეს ახალციხიდან წამოსულიყო აჭარაში. იგი გამაგრდა ხიხანის ციხეში. მისი მთავარი მიზანი იყო, როგორმე მოეპოვებინა ერზრუმის სერასკირობა და საქართველოსთვის დაებრუნებინა არა მარტო აჭარა, არამედ მთლიანად ტაო—კლარჯეთი, ოლთისი და თორთომი.

სელიმის განზრახვა ცნობილი გახდა ერზრუმის მაშინდელი სერასკირის ბაბა ფაშისათვის. მოსალოდნელი იყო, მას სერასკირის თანამდებობა დაეკარგა, რადგან სელიმ ფაშის სახელი შორს წვდებოდა, იმედად ესახებოდა დედასამშობლოდან მოშორებულ ქართველობას.

სელიმის წინააღმდეგ ახალციხეში გამართული ბრძოლის ამბავმა მალე მიაღწია ოსმალეთის იმპერატორის — სულთან მაჰმუდ მეორის (1808—1838) სამეფო კარამდე. სულთნის ბრძანებით, სელიმ ხიმშიაშვილი უნდა დაეტყვევებინათ და ცოცხლად წარედგინათ მისთვის, მაგრამ ბაბა ფაშა არ დაელოდა სულთნის ბრძანების მიღებას და მტკიცედ განაცხადა სელიმისთვის თავის მოკვეთა. ოსმალეთის გენერალურ არქივში არაა დაცული მაჰმუდ მეორის ბრძანება სელიმისთვის თავის მოკვეთის შესახებ. „ეს ისტორიული ჭეშმარიტებაა და უნდა გაითვალისწინონ ქართველმა ისტორიკოსებმა ამ თემაზე ნაშრომების შექმნისასო“, — ითხოვეს აჭარაში ითხოვეს ჩამობრძანებულმა სტუმრებმა, დიდი სელიმის შვილთაშვილებმა.

ექვსი თვის განმავლობაში ხიხანის მებრძოლები არ ნებდებოდნენ მტერს. სამწუხაროდ, ციხე შიგნიდან გატყდა; მოღალატეებმა მტერს ციხის კარები გაუხსნეს და სელიმი შეაპყრობინეს. სოფელ ბაკოში მდებარე სერი ყანის ფერდობზე დაქირავებულმა ჯალათმა თავი მოჰკვეთა სახელოვან ქართველს. გადმოცემის თანახმად, იგი მხნედ შეხვდა საშინელ განაჩენს და ასეთი ანდერძი დაუტოვა აჭარელ მებრძოლებს, თავის ვაჟიშვილებს: „მე თავს მჭრით, მაგრამ გახსოვდეთ, დედასაქართველოს აჭარას ვერასოდეს ჩამოაჭრით. ამის ხსოვნას მე ჩემს თანამებრძოლებს ანდერძად ვუტოვებო“. მისი უკანასკნელი სიტყვები გულის პერანგზე დაიწერა მთელმა აჭარამ და, მართლაც, 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, შეძლო დედასამშობლოში დაბრუნება. თუ როგორი დიდი სიხარული იყო ეს აჭარისათვის, ამის შესახებ კარგადაა მოთხრობილი ა. ფრენკელის წიგნში „ნარკვევები ჩურუქსუსა და ბათუმის შესახებ“, რომელიც ახლახან ქართულად დაისტამბა.

აჭარაში 3 ივნისი დაწესებულია დიდი სელიმ ხიმშიაშვილის ხსენების დღედ. ამ დღესასწაულის შესახებ ინტერნეტით გავრცელდა შეტყობინება. ხმა, ცხადია, სტამბოლში მცხოვრებ ხიმშიაშვილებსაც მისწვდა. დღესასწაულზე დასასწრებად 15 ხიმშიაშვილი ჩამოვიდა. ამათი წინაპრები დიდი ექვთიმე თაყაიშვილის მასპინძლები იყვნენ ისტორიულ ტაოში 1907 და 1917 წლებში. პირადად მე ვუმასპინძლე სამ ხიმშიაშვილს; ესენი იყვნენ სელიმ ხიმშიაშვილის შვილის ჰუსეინ ხიმშიაშვილის შვილთაშვილები.

ჰუსეინ ფაშა ხიმშიაშვილი იყო იმიერ ტაოს—ოლთისის მხარის გამგებელი, თავისუფლების მოტრფიალე ვაჟკაცი. მან ოსმალო მოხელეების წინააღმდეგ 1844 წელს აჯანყება მოაწყო აჭარაში და თანზიმათის მოთხოვნები არ დააკანონებინა ჩვენს მხარეში. 1847 წელს ოსმალეთის მთავრობამ მას სტამბოლიდან გადასახლება მიუსაჯა, თუმცა იგი მოულოდნელად გარდაიცვალა და ბრძანება ვეღარ შესრულდა. დასაფლავებულია სტამბოლში სელიმ ფაშას თავის საფლავის გვერდით.

ჩემი სტუმრები იყვნენ ქალბატონები: სერაფი გაიე და გაიეს ვაჟი მეჰმედი. ჩვენ ნათესავები ვართ, დიდი სელიმის მეშვიდე თაობის წარმომადგენლები. ისინი დაესწრნენ ბაკოში გამართულ საზეიმო შეხვედრას, დაათვალიერეს სხალთაში მდებარე შერიფ ხიმშიაშვილის სახლ—მუზეუმი და სოფელ ნიგაზეულში მდებარე ხიმშიაშვილების ციხე, ციხის კედლების შიგნით მდებარე სელიმ ხიმშიაშვილის მუზეუმი. სტუმრები მოხიბლული დარჩნენ აჭარის ბუნების განუმეორებელი სილამაზითა და ქართული სტუმარმასპინძლობით.

იმ დღეს, 3 ივნისს, ბაკოში ძლიერი წვიმა მოვიდა, ნისლი თეთრი ლეჩაქივით ეფინა ხიხანის ციხის ბებერ კედლებს და შორიდან არ ჩანდა. თითქოს სტუმრებს ამჯერად არ აჩვენა თავი. სტუმრებმა, ქოჩახთან მდებარე მდინარის ადიდების გამო, ვერ ნახეს შერიფ ხიმშიაშვილის საფლავიც, ვერც ხულოს ცენტრში მდგარი შერიფ და ჯემალ ხიმშიაშვილების სასახლის დათვალიერება შეძლეს. ეს ღირსშესანიშნავი ადგილები სამომავლოდ სანახავად დაიგულეს და ერთი დიდი სათხოვარიც დატოვეს ისტორიულ სამშობლოში: იქნებ აჭარის მთავრობამ გულთან მიიტანოს ჩვენი თხოვნა და სელიმის შვილიშვილების — შერიფ და ჯემალ ხიმშიაშვილების სახლში გახსნას ახალი სახლ—მუზეუმი, სელიმ ხიმშიაშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფადო. ეს სახლ—მუზეუმი გვერდს დაუმშვენებს ულამაზეს ეკლესიას და ხულოს სანახავად ბევრ უცხოელ ტურისტს მოიზიდავსო. ხიმშიაშვილები ბლომად არიან როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში და თურქეთშიო. ისინი ყოველ წელს ჩამოვლენ ხულოს სანახაოდო. პირობა დადეს, რომ ახალ მუზეუმს სამუზეუმო ექსპონატებით უცხოეთში მცხოვრები ხიმშიაშვილები მოამარაგებენ. „ახალი მთავრობის დიდი იმედი გვაქვს და ამ იმედით დავბრუნდებით სტამბოლშიო“,—აღნიშნეს მათ.

სტუმრებმა ჩვენი უნივერსიტეტიც მოინახულეს. მასპინძლობა გაუწია უნივერსიტეტის რექტორმა ბატონმა ალიოშა ბაკურიძემ, რომელიც დედის მხრიდან ხიმშიაშვილების შვილთაშვილია. რექტორთან სამახსოვრო სურათებიც გადავიღეთ.

გამოთხოვებისას ქალბატონმა სერაფმა, პროფესიით ფარმაცევტმა, გაიხსენა ძველი რომაელი ფილოსოფოსისა და მწერლის მარკუს ტულიუს ციცერონის სიტყვები: „ჩვენთვის ძვირფასია მშობელი, შვილები, ახლობლები, მაგრამ ყველა წარმოდგენა სიყვარულზე თავს იყრის ერთ სიტყვაში **„სამშობლო“.** დასძინა, რომ სწორედ ამ სიყვარულმა ჩამოიყვანა ის აჭარაში და მოაძებნინა თავისი დიდი პაპის — სელიმ ხიმშიაშვილის მშობლიური ნიგაზეული, სადაც თვალი გაახილა, ენა ამოიდგა, ფეხი აიდგა ამ სახელოვანმა ქართველმა. იგი ციხის კედლებს ეფერებოდა, ბალახებს ეალერსებოდა და ამბობდა: ესენი ბაბუაჩემის ნატერფალებზე არიან აბიბინებულიო.

მეორე ქალბატონს — გაიეს დაუმთავრებია ანკარის უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. დიდხანს თარგმნით საქმიანობას ემსახურებოდა. რუსული და უკრაინული ენებიდან თურქულად უთარგმნია ნაწარმოებები. განსაკუთრებით მოსწონებია ი. გონჩაროვის შემოქმედება და თურქი მკითხველისთვის მიუწოდებია თარგმანი. გამომშვიდობებისას მოიხმო მეექვსე საუკუნის არაბი პოეტის იმრულ ყაისის ერთი ლექსის თურქული თარგმანი. შემოგთავაზებთ მის ქართულ ვარიანტს, რომელიც მოტანილია აკაკი გელოვანის წიგნიდან „სიბრძნის სიმფონია“ (1989 წ., გვ. 469):

„სამშობლოში მოვკვდებოდე,
ვიქნებოდი ბედნიერი,
ვიფიქრებდი, რომ ჩემი გზა
დავასრულე მიწიერი;
მაგრამ არის საზარელი აღსასრული უცხო მხარეს,
სად ვერ ნახავ შენიანებს,
ვერც მეგობარს გულმწუხარეს“.

ამ სიტყვებს რომ წარმოსთქვამდა, თვალები ცრემლებით ევსებოდა. გამახსენდა ჩვენნი უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის სიტყვები: „არსებობს სულთა კავშირი“. მართლაც, დიდ სელიმსა და მის შვილიშვილებს შორის დამყარდა სულთა კავშირი, რომელმაც აამოძრავა ქართული სისხლი და ნათესაობა განაახლა. ამ ძალამ ჩამოიყვანა ისინი აჭარაში და გამომშვიდობებისას გულწრფელად ააცრემლა. ასეთი ცრემლები ჩვენს მიწას ციურ მანანასავით დაატკბობს და კიდევ უფრო მოიზიდავს უცხოეთში გახიზნულ ქართველობას.

შუშანა ფუტკარაძე

მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევა

სერგო დუმბაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ნიკოლოზ დუმბაძე, ჟურნალისტი.

თურქეთის სახელმწიფოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენამ, სახელმწიფო საზღვრის გახსნამ ჩვენს მოქალაქეებს საქმიანი მიმოსვლისა და ფართო ურთიერთობების ჩამოყალიბების შესაძლებლობა მისცა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ჩვენს მეცნიერ-მკვლევრებში თურქეთში მცხოვრები ქართველების ყოფის, კულტურის, ქართული ადათ-წესების, ქართული ენის შენარჩუნებისა და ჩამოყალიბებულ თავისებურებათა შესწავლამ. ჩვენ- და საბედნიეროდ, ასეთი პატრიოტი მკვლევრები საკმაოდ გამოჩნდნენ ჩვენში — აჭარაში, კერძოდ, პროფესორი შუშანა ფუტკარაძე, პროფესორი ნუგზარ ცეცხლაძე, როინ მალაყმაძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტი პროფესორ მამია ფაღავას ხელმძღვანელობით, რომლებმაც სხვადასხვა კუთხით შეისწავლეს და შექმნეს მეცნიერული ნაშრომები თურქეთში მცხოვრებ ქართველებში მეტყველების, ქართული ენის შენარჩუნებისა და გამოყენების, ისტორიის ცალკეულ საკითხებზე, რომელთა მიმართაც საკმაოდ დაიწერა და ითქვა სამეცნიერო წრეებში, საზოგადოებაში.

ამდენად, შეიქმნა საკმაოდ კეთილი განწყობა და მეცნიერულ-შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის ხელშემწყობი პირობები იმათთვის, ვინც დაინტერესებულია ასეთი საკითხებით და ძალუძს შექმნას ღირებული მეცნიერული ნაშრომები.

სწორედ, ასეთ მეცნიერ-მკვლევართა ღირსეული წარმომადგენელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, ეთერ ბერიძე, რომელმაც შექმნა მრავალმხრივ საინტერესო და მეცნიერული ღირებულების ნაშრომი ,,ნიგალი". როგორც წიგნის ანოტაციაშია მოცემული ,,მონოგრაფიაში ფართოდ არის შესწავლილი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ძველი ტაო-კლარჯეთის შემადგენელი ნაწილის ნიგალის ხეობა, მისი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, ასევე წარმოდგენილია ხეობის მოსახლეობის ლინგვისტურ-დიალექტოლოგიური და ფოლკლორული მასალა, აქაურთა ეთნოლოგიური და ეთნოკულტურული ყოფის ასპექტები, ხეობის მკვიდრთა მეტყველების ნიმუშები, გაანალიზებულია ხეობის ტოპონომიკური მასალა და ენობრივი თავისებურებები".

ავტორი დასახულ მიზანს ბრწყინვალედ აღწევს საკვლევი საკითხების ღრმა ცოდნით, მაგალითების მიგნებულად შერჩევისა დ გაშუქების საფუძველზე. როგორც აღვნიშნეთ, ფართო და მრავალმხრივია ავტორის მიერ შესასწავლი საკითხების შინაარსი და შედგენილობა. ამასთან, ავტორი ცალკეულ თემებს აანალიზებს მათი თავისებურებების მიხედვით ურთიერთკავშირში.

ნაშრომიდან ჩანს, რომ ავტორის კვლევის საგანი ტოპონიმიკაა, მაგრამ იგი გვაწვდის ეთნოგრაფიულ მასალებს, ყურადღებას ამახვილებს ნიგალური მეტყველების თავისებურებებზე, განხილული აქვს იქაური ფოლკლორული ნიმუშები, აღუნუსხავს და აღუწერია ხეობის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები. წიგნი შედგება ხუთი თავისა და 13 დანართისგან, აქვს გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი და რეზიუმე (რუსულ, თურქულ, ინგლისურ ენებზე).

წიგნის პირველ თავში სამეცნიერო წყაროებისა და კარტოგრაფიული მასალების მიხედვით გაშუქებულია ნიგალის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის საკითხები. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი, სხვა მხარეებთან ერთად, შედიოდა მესხეთის, ანუ ისტორიული ტაო-ჯლარჯეთის შემადგენლობაში და ამჟამინდელი სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციული დაყოფით ნიგალის ხეობა მოქცეულია ორი სახელმწიფოს — თურქეთისა და საქართველოს ფარგლებში, მისი უდიდესი ნაწილი მიეკუთვნება თურქეთის რესპუბლიკას, ხოლო ჭოროხის ქვემო ნაწილის რამდენიმე სოფელი საქართველოს განეკუთვნება. ამასთან, ავტორი გარკვევით მიუთითებს, რომ ხეობის საზღვარგარეთული ნაწილი მოქცეულია ბორჩხის, მურღულისა და ართვინის რაიონებში, რომლებიც დღევანდელი თურქეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით განეკუთვნება ართვინის ვილაეთს. სწორედ, ამ ვილაეთში შედის ისტორიული ტაო-კლარჯეთის ქართული რეგიონების უმრავლესი ნაწილი. წიგნის ავტორი ასევე მიმოიხილავს ნიგალის ხეობის მოსაზღვრე საქართველოს ნაწილს, რომელიც მდებარეობს ხელვაჩაურის რაიონში: მაჭახლისპირი, კირნათი, გვარა, შუშანეთი, კობალეთი, ზედა კირნათი-მდინარე ჭოროხის მარჯვნივ, ქვედა მარადიდი, მირვეთი და ბაბლავეთი-მდინარე ჭოროხის მარცხნივ, რაც ასახული აქვს კიდეც ამ რაიონების მიხედვით შედგენილ რუკებზე (№№1-11).

ავტორი ცოტა შორს მიდის და განმარტავს, რომ ნიგალი ისტორიული წარსულის მქონე ქართული რეგიონია და იმოწმებს დიდი წინაპარის ექვთიმე თაყაიშვილის ნათქვამს, რომ აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ხალხები - იცვლებოდა მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობა, სახელმწიფოებრივი მფლობელობა, რამაც გარკვეული ზეგავლენა მოახდინა მის, როგორც ეროვნულ, ასევე რელიგიურ მდგომარეობაზე, მაგრამ ამ გარემოებამ ეჭვის ქვეშ ვერ დააყენა ნიგალის ისტორიული ტაო-კლარჯეთის შემადგენლობაში ყოფნას, ავტორი დიდ წინაპართა ნაკვალევზე და მათი კვლევების საფუძველზე დაყრდნობით მიმოიხილავს ნიგალის საზღვრებს (აკად. დ. მესხელიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, გიორგი ყაზბეგი, დიმიტრი ბაქრაძე, ზაქარია ჭიჭინაძე, ალექსანდრე ფრენკელი და სხვა.).

წიგნში დოკუმენტურად განხილულია ამ მხარეში მუჰაჯირობის —ქართული სახელებით შედგენილი სახელები და გარკვეული...სემანტიკის მქონე ტოპონიმები.

ამავე თავში ავტორი საინტერესო ცნობებს გვაწვდის ნიგალის ხეობის სოფლების შესახებ, მოაქვს მდიდარი, ცოცხალი მაგალითები გეოგრაფიული დასახელებებიდან, მათი ქართული წარმომავლობის ისტორიიდან.

ავტორი ცალკე (მეორე) თავში განიხილავს დღევანდელი ნიგალის ხეობის, კერძოდ, მის ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ თავისებურებებს, რაც ჩამოყალიბებული აქვს თემატიკურად ასეთნაირად: 1. სახასიათო-სატრფიალო ლირიკული ლექსები, 2.საოჯახო კულინარიის ამსახველი ტექსტები და ტერმინები, 3. მუჰაჯირობა და მისი კვალი დღევანდელობაში, 4. საქორწინო რიტუალი და მასთან დაკავშირებული ლექსიკა, 5. სამშენებლო დიალექტური ლექსიკა. ყოველივე ამას კი აყალიბებს თურქეთის საქართველოში, კერძოდ ნიგალის ხეობაში მრავალჯერ მგზავრობისა და მდიდარი მასალის შეგროვების საფუძველზე,. ავტორი საინტერესოდ, მთელი შინაარსით აღწერს სოფელ არავეთის მცხოვრები ალფაიდნების ქორწილს, რაც ძირითადად ხასიათდება ცეკვა-თამაშით, საჩუქრების გადაცემით და ლანგარით შემოტანილი მისართმევლებით. საინტერესოა ისიც, რომ ექსპედიციის მონაწილეები შეხვედრიან ჩვენგან სამუშაოდ ჩასულ უამრავ ადამიანს. მნიშვნელოვანია აგრეთვე იქაურ მანდილოსანთა მონათხრობი იმაზე, რომ მათ არ უხდებათ მძიმე შრომა, ჩაისა და თხილს ჩვენებურებს აკრეფინებენ, თვითონ კი ოჯახში და ეზოკარში მუშაობენ. მათ კმაყოფილებით აღუნიშნავთ, რომ მათთან ხშირია ქართველ ქალთა თურქეთში გათხოვება, რასაც ავტორი მიიჩნევს დადებით მოვლენად იმ მხრივ, რომ ხელს უწყობს ჩვენებურთა ენისა და ეროვნების შენარჩუნებას, ძველ ნერგებზე ახლის აღმოცენებასა და გახარებას.

ნეტამც მართლაც ასე იყოს!

ავტორი ვრცლად მოგვითხრობს სოფლების, ხევების მიხედვით შეკრებილ ფოლკლორულ მასალებზე, მცხოვრებთა მეტყველებაზე და სიამოვნებით დაასკვნის, რომ , ,,ვუსმენ ჩვენებურებს, მათ ქართულს და კიდეც მეამაყება, კიდეც მიხარია და კიდეც მტკივა; მტკივა შენი სამშობლოს ბედუკუღმართობა და მეამაყება, რომ შენს ჯიშსა და ჯილაგს, მშობელ ფესვებს მოწყვეტილს, ყველაფრისთვის გაუძლია, მშობლიური ენაც შემოუნახავს და ქართული სულიც". ავტორი თქმულს ადუღაბებს ჩვენი კუთხის დიდებული შვილის, ფრიდონ ხალვაშის ლექსის სტრიქონებით:

„... კაი მექართულე ვეღარა ვარ,
მაგრამ სული მიდუღს იმოდენა,
რომ შიგ სიტყვა-მარად
მშობლიური,
როგორც გაზაფხული,
იტოტება..."

ამასთან, ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს წერა-კითხვის უცოდინრობაზე და ავლენს პატრიოტულ სურვულს ნიგალის ტერიტორიაზე, კერძოდ, ბორჩხაში ნებისმიერი ასაკის მსურველისთვის დაარსდეს ქართული წერა-კითხვის შემსწავლელი კურსები.

წიგნის ამ განყოფილებაში უხვად არის თურქეთში ჩვენებურებთან შეხვედრის ამსახველი ფოტოსურათები, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანია იმით , რომ ავტორი გვაცნობს ნიგალის ხეობის სხვადასხვა სოფელში მცხოვრებ ქართველებს, რომლებიც შეხედულებით, იერსახით არაფრით განსხვავდებიან აქაური ქართველებისგან, თანაც თურქებისგან გამოირჩევიან სტუმარმასპინძლობით.

ქალბატონი ეთერი სათანადო ყურადღებას მიაპყრობს ნიგალის ხეობის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა თაღოვანი ხიდები, ციხეები, ეკლესია-მონასტრები, ნანგრევები, ქვევრები და სხვა. მაგალითად, მამანათის ციხე. ჩხალიწყლის ხიდი სოფელ მამანათში, მამაწმინდის ეკლესია, სანკოთის ციხე, ართვინის ციხე, სოფელ სვეტის ნაეკლესიარი და სხვა.

მკვლევარი მწყობრად გადმოგვცემს ნიგალის მკვიდრთა ქართულის თავისებურებებს, ამასთან, იმ გარემოებას, რომ აქ შემონახულია არქაული ფორმები. ხაზს უსვამს იმას, რომ ნიგალის ხეობის მეტყველებაში სახელობითი ბრუნვის მაგივრად მოთხრობითს იყენებენ და იგი ანალოგს ნახულობს მათი მოსაზღვრე ჩვენი სოფლების მკვიდრთა მეტყველებაში. მაგალითად, იმან ამბობს (ის ამბობს), იმან გეტყვის (ის გეტყვის), კაცმა წერავს (კაცი წერს). იგი იმოწმებს ცნობილ მკვლევარებს გიგინეიშვილს, თოფურიას, ქავთარაძეს და ჯორბენაძეს, როცა წერს იმერხეული დიალექტის თაობაზე, რომ იმერხეული (კლარჯული), (მოიცავს ლივანურ კილოკავს ს. დ.)ერთ-ერთი თავისებური ,,ჭრელი" ენობრივი ერთეულია და ახლოსაა ქართული ენის სამხრულ და დასავლურ დიალექტებთან, უწინარესად-აჭარულთან.

წიგნის მესამე თავში განხილულია ტოპონომიის საკითხები. აღნიშნულია, რომ ნიგალის ტოპონომიაში გვხვდება მარტივი აფიქსური და სუფიქსური წარმოების სახეები, იგრძნობა თურქული ენის ზეგავლენაც. განსაკუთრებით მკითხველის ინტერესს იწვევს ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტოპონიმები, მაგალითად, გიორგიწმინდა, ელიაწმინდა, მამაწმინდა, ნინოწმინდა და სხვა.

მეოთხე თავში გაანალიზებულია თურქული წარმომავლობის ტოპონიმები, ავტორი ნათლად აჩვენებს, რომ ხშირად ტოპონიმის ამოსავალი ქართული სიტყვაა, მაწარმოებელი თურქული, ფუძეა თურქული, ხოლო აფიქსებით- ქართული. მაგალითად, სუფიქსებილუღ, -ლუხ, -ლუქ, -ლუძ; მრავლად იხმარება სუფიქსები:-ლარ, -ლერ. ავტორი აღნიშნავს, რომ სუფიქსი -ლი ქართულ — იან სუფიქს შეესაბამება. არის თხზული გეოგრაფიული სახელები, სხვადასხვა სახელით შედგენილი კომპოზიტები (ბუზხანა, ტუზხანა, კაზაფხანა, ჩაიხანა). ბევრია ქართულ-თურქული მაწარმოებლით გაფორმებული ტოპონიმები (ჭოლო-ლარ, გოგო-ლარ, მარწყვი-ლუღ და სხ.).

მონოგრაფიის მეხუთე თავი ეთმობა მეტყველების ნიმუშების გაშუქებას. აქ მოტანილია სოფლების მიხედვით ცალკეული პირებისგან ჩაწერილი ნიმუშები.

ავტორს ბევრი უმუშავია ქალაქების, დაბების, სოფლების ქართული სახელების დასადგენად. საზღვრების, გზების, ხიდების, უღელტეხილების განსაზღვრავად, რის საფუძველზეც შეუდგენია ნიგალის ტერიტორიის დასახლებების კარტოგრაფიული რუკები და მოუთავსებია დანართების სახით, სულ 13 რუკა. ამასთან, შევნიშნავთ, რომ კარგი იქნებოდა ნიგალის თურქული მხარის აქაური, ჩვენი მხრიდან მოსაზღვრე ტერიტორიების მინიშნება, რაც გარკვეულად გააადვილებდა საკითხის გარკვევას და კონკრეტულ აღქმას.

წიგნის ერთ-ერთი ღირსებაა, რომ მასში მოცემულია სიტყვათა ახსნა-განმარტება, აგრეთვე დანართები ალ. ფრენკელის, ვ.ლისოვსკის, ზ.ჭიჭინაძის ნაშრომთა მიხედვით სოფლების, დასახლებული უბნების , მოსახლეობის კომლთა და მუჰაჯირობის დროს ცვლილებების შესაბამისად.

წიგნში არის სხვა მნიშვნელოვანი გამოკვლევებიც, რაც მიუთითებს ავტორის განათლებულობაზე, მეცნიერულ აღღოზე და ნათელს ფენს წარსულის ფურცლებს.

წიგნს ,,ნიგალი" დართული აქვს რეზიუმე რუსულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე, რაც დაეხმარება ამ ენების მცოდნეებს გაერკვნენ ესოდენ დიდმნიშვნელოვანი წიგნის არსში, მის მეცნიერულ ღირებულებებში.

სარეცენზიო წიგნი ,,ნიგალი" მრავალმხრივი მეცნიერული მნიშვნელობისაა, ვფიქრობთ, სათანადო დახმარებას გაუწევს ამ საკითხით დაინტერესებულ მეცნიერ-მკვლევრებს, ასპირანტებს, სტუდენტებს, მკითხველთა ფართო წრეს.

საქართველოს პროდუქციის ექსპორტის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები

მიმდინარე გლობალური ეკონომიკური ცვლილებების პირობებში, ქვეყნებს შორის ურთიერთობებში სავაჭრო ურთიერთობებს არსებითი და, შეიძლება ითქვას, უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც სწორედ ვაჭრობაზეა აგებული ქვეყნების წარმატებული ეკონომიკური ფუნქციონირების თითქმის მთელი სისტემა. ეს კი, მთლიანობაში, ხელს უწყობს ქვეყნების განვითარებას და ვაჭრობიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებას. საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს ექსპორტის ზრდაზე, რაც წარმოადგენს წარმოების განვითარების, სპეციალიზაციისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების და, შედეგად, ეკონომიკური ზრდის საუკეთესო საშუალებას. საქართველოს პროდუქციის წარმოების დიდი პოტენციალი აქვს. მთავრობის მიერ დამატებითი ფინანსების მიმართვა სოფლის მეურნეობის განვითარებისკენ, უდავოდ გამოიღებს შედეგს, სახელმწიფო ინვესტიცია კომერციულ საქმიანობაში მოახდენს კერძო ინვესტიციების სტიმულირებას და არა მათ განდევნას. საქართველოს საექსპორტო პოტენციალზე საუბრისას დღეს აქტუალურია რუსეთის ბაზრის თემაც. არავისთვის სიახლე არ არის, რომ რუსეთი მთელი მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანი ბაზარია. თუმცა, ცხადია, რუსეთის ბაზარზე მასშტაბურად გასვლის პერსპექტივა პირველ რიგში დამოკიდებულია პოლიტიკურ ფაქტორებზე და მათი პროგნოზირება დღეისათვის საკმაოდ რთულია.

საქართველოს ექსპორტის ყველაზე სუსტი მხარე, ექსპორტის რამდენიმე მთავარ საქონელზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულებაა. 2012 წელს, მსუბუქი ავტომობილები და ფეროშენადნობები საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო საქონლად რჩებოდა. 2009 წლიდან მოყოლებული, მსუბუქი ავტომობილების, ფეროშენადნობების და ლითონის ნარჩენებისა და ჯართის ექსპორტი საქართველოს წლიური ექსპორტის 1/5-ს შეადგენს. მხოლოდ მსუბუქი ავტომობილების (რე)ექსპორტზე 2012 წლის მთლიანი ექსპორტის მეოთხედი მოდიოდა და 588 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 2013 წელს, მოსალოდნელია ამ მონაცემის მნიშვნელოვანი კლება. 2011 წელს, იმპორტის გადასახადის მოსალოდნელმა ზრდამ ყაზახეთში მოთხოვნის მატება გამოიწვია; ავტომობილების ექსპორტის 2012 წელს მიღწეული დონე შენარჩუნდება მანამ, სანამ ახალი რეგულაციები ძალაში შევა.

მიუხედავად იმისა, რომ მანქანების რეექსპორტი მცირე საწყის კაპიტალს და ძალიან ცოტა დამატებით ხარჯს მოითხოვს, მოგების მარჟა საკმაოდ მცირეა, ხოლო სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალი მინიმალური. შესაბამისად, მანქანის ექსპორტის მონაცემები, შესაძლოა, გაზვიადებულ წარმოდგენას ქმნიდეს საქართველოს ეკონომიკის ზრდაში ამ ინდუსტრიის წვლილზე. თუმცა ეს ფაქტიც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ახალი პროდუქციისა და ახალი ბაზრების მოძიების გარეშე, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პერსპექტივაზე საუბარი შეუძლებელია. ამიტომ მთავრობის მთავარი ძალისხმევა, ჩვენი აზრით, არაერთ რომელიმე ბაზარზე და ერთ რომელიმე პროდუქციაზე მიბმისკენ, არამედ მათი მაქსიმალური დივერსიფიკაციისკენ უნდა იყოს მიმართული. ვფიქრობთ, რომ აუცილებელია სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისა და გაუმჯობესების სტრატეგიის შესწავლა საქართველოს კონტექსტში, რათა ისინი გამოიყენებოდა საქართველოს ექსპორტის გაზრდისთვის.

რა პროდუქციის წარმოებას აქვს ექსპორტის დიდი პოტენციალი და როგორ შეუძლია მწარმოებლებს შორის კოოპერაციას ხელი შეუწყოს ამ პროცესს. ვფიქრობთ, რომ ყველა ისინი, ვინც აწარმოებს ერთსახობრივ პროდუქციას ან შეუძლია და სურს, რომ აწარმოოს, შეუძლია გაერთიანდეს და კოოპერირებულად გააგრძელოს ბაზარზე განვითარება, მათთვის ექსპორტის მიმართულებით წარმატების შანსები მნიშვნელოვნად გაიზრდება. შეიძლება ძნელი იყოს და დიდი დროც დასჭირდეს, მაგრამ საქართველოს კარგი შესაძლებლობები აქვს კვების პროდუქციის ბაზარზე წარმატების მისაღწევად. საქართველოს კლიმატი, აგრარული კულტურა და ისტორია, იძლევა იმის შესაძლებლობებს, მსოფლიო დაარწმუნოს, რომ ჩვენ ჯანსაღ პროდუქციას ვაწარმოებთ. სწორედ ამ სეგმენტზე (კვებისა და მსუბუქ მრეწველობაში, ბიოსოფლის მეურნეობასა და საბავშვო ავეჯის წარმოებაში) ჩვენი ქვეყნის პროდუქცია შეიძლება გახდეს ეფექტური.

საქართველოში ექსპორტის მაჩვენებელი მცირდება. ამ ფაქტს, კრიზისის გამო, მოთხოვნის შემცირებას უკავშირებენ და ექსპერტებიც დარწმუნებული არიან, რომ ახლა არა ექსპორტის გაზრდა უნდა იყოს მთავარი საზრუნავი, არამედ იმპორტის ადგილობრივი წარმოების პროდუქტით ჩანაცვლება. ერთიც და მეორეც საჭიროებს განვითარებას. საჭიროა ახალი საექსპორტო პოტენციალი გამოიძებნოს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ასეთი პოტენციალი ჩვენს ქვეყანას სოფლის მეურნეობაში აქვს, მაგრამ გლეხებს იმდენი პრობლემა აქვთ, რომ არა თუ საექსპორტო პროდუქტის მოწევა ჭირს, არამედ ადგილობრივ ბაზარზე გასასაღებელსა და ხანდახან, საოჯახო მეურნეობისთვის საკმარისსაც კი ვერ აწარმოებენ ისინი. მოსავლიანობის გასაუმჯობესებლად გლეხები პირველ აუცილებელ პირობად მწყობრიდან გამოსულ ტექნიკას ასახელებენ, შემდეგ — საწვავის სიძვირეს, უვარგის შხამ-ქიმიკატს და სასუქს. საბოლოოდ, გლეხს სამჯერ მეტი ძალის დახარჯვა უხდება ერთ ტონა მოსავალზე, ვიდრე ეს იმ ქვეყანაში ხდება, სადაც სოფლის მეურნეობა ასე თუ ისე განვითარებულია. საექსპორტო პოტენციალის დინამიკა და სრული ათვისება ყველა ტრანზიტული ეკონომიკის პრობლემაა, იქნება ეს დსთ-ს წევრი თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანა. ამ ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმის ქვაკუთხედი საექსოპორტო წარმოების ხელშეწყობის სისტემის შექმნა და მსოფლიოში სრული ინტეგრაციაა.

საქართველოს საუკეთესო შესაძლებლობები და პოტენციალი გააჩნია, რომელთა გამოყენება ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. საჭირო ღონისძიებების განხორციელებით და ევროკავშირის მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილების შედეგად, საქართველო შეძლებს გახდეს კონკურენტუნარიანი ევროპის ბაზარზე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა მონაცემები საგარეო სავაჭრო ბრუნვის შესახებ, რომლის თანახმადაც:

2012 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა, 2011 წელთან შედარებით, 11%-ით გაიზარდა და 10219 მლნ. დოლარი შეადგინა. ექსპორტი გაიზარდა 9%-ით და 2 377 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა. იმპორტი გაიზარდა 11%-ით და 7842 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. წინა წელთან შედარებით, 2012 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 12%-ით გაიზარდა, 2 780 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და სავაჭრო ბრუნვის 27% დაიკავა. ევროკავშირთან ექსპორტი 17%-ით შემცირდა, 353 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი ექსპორტის 15% დაიკავა, ხოლო ევროკავშირთან იმპორტი 18%-ით გაიზარდა, 2 427 მლნ. დოლარი შეადგინა და ამ წლის მთლიანი იმპორტის 31% დაიკავა. 2012 წელს ევროკავშირზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 38%.

2012 წელს წინა წელთან შედარებით, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა დსთ-ს ქვეყნებთან 18%-ით გაიზარდა, 3 242 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 32% დაიკავა. დსთ-სთან ექსპორტი 18%-ით გაიზარდა, 1 246 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი ექსპორტის 52% დაიკავა, ხოლო დსთ-სთან იმპორტი 3%-ით გაიზარდა, 1 997 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი იმპორტის 25% დაიკავა.

საქართველოს სხვა სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რაოდენობა (ევროკავშირის ქვეყნებისა და დსთ-ის ქვეყნების გარდა) განისაზღვრა 110 ქვეყნით. სულ ამ ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვამ 4 197 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, 2011 წელთან შედარებით, 11.2%-ით გაიზარდა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 41% დაიკავა. კერძოდ, დანარჩენ ქვეყნებთან ექსპორტი 9.4%-ით გაიზარდა, 778.6 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი ექსპორტის 33% დაიკავა, ხოლო იმპორტი კი 11.6%-ით გაიზარდა, 3 418.4 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი იმპორტის 43.6% დაიკავა. 2012 წელს 2011 წელთან შედარებით ძირითადი ათი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების წილი საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 2.3%-ით შემცირდა და 65.4% შეადგინა. ქვეყნების პროცენტული წილი საქართველოს მთლიან სავაჭრო ბრუნვაში შემდეგნაირად გადანაწილდა თურქეთი-15%, აზერბაიჯანი-12.3%, უკრაინა- 7.5%, ჩინეთი - 5.8%,

გერმანია - 5.7%, რუსეთი - 5.1%, აშშ - 4.3%, ბულგარეთი - 3.3%, სომხეთი - 3.2%, იტალია - 3.2%.

2011 წელს მეათე ადგილზე მყოფი არაბთა გაერთიანებული ემირატები 2012 წელს იტალიამ ჩაანაცვლა, ხოლო 2012 წელს დანარჩენი პირველ-მეცხრე ადგილზე მყოფი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები წინა წლის ანალოგიურია. 2012 წლის მონაცემებით, სამი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 34.8% შეადგინა. კვლავ ლიდერობს თურქეთი. თურქეთს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 15% ხვედრითი წილი უკავია, წინა წელთან შედარებით გაიზარდა 2.4%-ით და შეადგინა 1 536 მლნ. აშშ დოლარი. აზერბაიჯანს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 12.3% ხვედრითი წილი უკავია, წინა წელთან შედარებით გაიზარდა 21.6%-ით და შეადგინა 1260 მლნ. აშშ დოლარი. ექსპორტი გაიზარდა 47.2%-ით და შეადგინა 627 მლნ. აშშ დოლარი. ხვედრითი წილი საქართველოს მიერ განხორციელებულ მთლიან ექსპორტში განისაზღვრა 26.4%-ით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ძირითადი საექსპორტო ქვეყნების ათეულში აზერბაიჯანი პირველ ადგილზე იმყოფება. ექსპორტის პირველ ხუთ სასაქონლო პოზიციას საქართველოს ექსპორტი 20.3% უკავია, ხოლო აზერბაიჯანთან ექსპორტის 77%. უკრაინას საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 7.5% ხვედრითი წილი უკავია. წინა წელთან შედარებით 10% შემცირდა და 764 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. იმპორტი შემცირდა 15.4%-ით და შეადგინა 597 მლნ. აშშ დოლარი. ხვედრითი წილი საქართველოში განხორციელებულ მთლიან იმპორტში განისაზღვრა 7.6%-ით. იმპორტის პირველ ხუთ სასაქონლო პოზიციას უკავია საქართველოს მთლიანი იმპორტის 2.6% და უკრაინიდან იმპორტის 33.4.

საქართველოში ექსპორტის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს მთელი რიგი მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომელთაც შესწავლა და რეგულირება სჭირდებათ. მეწარმეები ექსპორტის შემაფერხებელ ფაქტორად მიიჩნევენ საბანკო კრედიტის მაღალ საპროცენტო განაკვეთს და საგადასახადო განაკვეთების ხშირ ცვლილებას. მცირე და საშუალო მეწარმეები თვლიან, რომ 2008 წლის ომისშემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუარესდა სამეწარმეო გარემო. საგადასახადო პოლიტიკის სწორად განსაზღვრას და გადასახადების საზრიან ადმინისტრირებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ექსპორტის განვითარებისათვის. რეფორმირებულმა საგადასახადო სისტემამ ვერ გააუმჯობესა მდგომარეობა. ექსპორტის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორებიდან მეწარმეები პირველ რიგში ასახელებენ ხელისუფლების მხრიდან ექსპორტიორთა ინტერესების დაუცველობას, ბიზნესში მმართველი და მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან ზედმეტად ჩარევას, არასტაბილურ საგადასახადო სისტემას და ა. შ.

საქართველოში კომერციული სესხები გაცილებით მაღალპროცენტიანია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. 2008 წლის აგვისტოში ერთკვირიან საომარ მოქმედებათა შემდეგ საქართველოში დაიწყო უმძიმესი საბანკო კრიზისი. მოსახ-ლეობამ და კომპანიებმა ბანკებიდან დაიწყო ანაბრების ამოღება. ომისშემდგომ პერიოდში მათი მხოლოდ მცირე ნაწილი იქნა დაბრუნებული ბანკებში. კრედიტების იმედზე ახალი საქმის წამოწყება შეუძლებელია. საქართველო-რუსეთის ომის შედეგად განსაკუთრებით დაზარალდა საექსპორტო საწარმოები. საექსპორტო კომპანიების ნაწილი, საფინანსო კრიზისის გამო, გაკოტრდა, ნაწილმა კი დროებით შეაჩერა საქმიანობა. საექსპორტო დავების უმრავლესობა საერთო სასამართლოებში განიხილება, რის გამოც დროში გაჭიანურების შედეგად, მცირე საექსპორტო ბიზნესში ერთ-ერთი მოდავე მხარე განუზომლად ზარალდება. ამიტომ აუცილებელია საარბიტრაჟო სასამართლო სისტემის აღდგენა.

ომის ნეგატიური შედეგების გადატანის მიუხედავად შემდგომ პერიოდში ერთდროულად რამდენიმე საექსპორტო საწარმო გაიხსნა. ეს იმით იყო განპირობებული, რომ ომამდელ პერიოდში ჩვენს პროდუქციაზე უცხოური მოთხოვნა ყოველწლიურად 70-80%-ით იზრდებოდა. 2008 წელს ცნობილი მოვლენების შედეგად, საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოდინება მკვეთრად შემცირდა. ინვესტიციების მოზიდვის ნაწილობრივ ზრდა შესამჩნევი გახდა 2009 წელს, რაც პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების მეტ-ნაკლებად სტაბილიზაციით იქნა მიღწეული. მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა საქართველოს საბანკო, სადაზღვევო, ტრანსპორტის, სასტუმროების, ენერგეტიკის, ტელეკომუნიკაციებისა და სხვა სფეროებში. ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში. დაიწყო ფეროშენადნობების, სპილენძის კონცენტრატების, აზოტოვანი სასუქების, დაუმუშავებელი ოქროს ექსპორტის ზრდა.

საქართველოში ექსპორტის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

მოწესრიგდეს საფინანსო-საკრედიტო სისტემა, ექსპორტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა;

მსოფლიო ბაზარზე საქართველოს კონკურენტული სტატუსის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა ექსპორტის სადაზღვევო სისტემის განვითარება;

საქართველოში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია შესწავლილ იქნეს ექსპორტის განვითარების ტენდენციები, განისაზღვროს მათი გავლენა საქართველოს საინვესტიციო კლიმატზე;

საჭიროა სრულყოფა საკანონმდებლო ბაზისა, გამარტივება და გამჭვირვალობა სასამართლო პროცესისა, გაიზარდოს საექსპორტო საწარმოებით უცხოელ ინვესტორთა მატერიალური დაინტერესება, შეღავათები უნდა დაწესდეს საექსპორტო ოპერაციებით დაკავებულ ინვესტორთა საქმიანობაზე;

უნდა განვითარდეს საინვესტიციო საქმიანობის ინფრასტრუქტურა, შეიქმნას საექსპორტო ოპერაციების დაფინანსების ბანკი. მსოფლიო დონის ინვესტორებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

დავით ძათამაძე,
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საკვები პროდუქტების თანამედროვე ეკოლოგიური პრობლემები

სტატისტიკური მონაცემების ძიება არ არის საჭირო იმის დასადგენად, რომ ონკოლოგიური, გულის, თუ სხვა, სიცოცხლესთან შეუთავსებელ დაავადებათა რიცხვმა საგრძნობლად იმატა (განსაკუთრებით ბავშვებსა და ახალგაზრდებში). მიზეზი, ალბათ, მარტივია - არაჯანსაღი გარემო, არასწორი ცხოვრების წესი და მოწამლული საკვები.

საზოგადოებას ჯერ კიდევ საკმარისად არა აქვს შეგნებული მინათმოქმედების გადაჭარბებული ქიმიზაციის საშიშროება. მაღალპროდუქტიულ სავარგულზე ზრუნვა, პირველ რიგში, ბიოსფეროს გაუმჯობესებაზე ზრუნვაა. შხამქიმიკატებისა და სასუქების ხელაღებით გამოყენებამ შესამჩნევად შეამცირა ნიადაგის ნაყოფიერება (გაზარდა ეროზია და შეამცირა ჰუმუსის წარმოქმნა), გააუარესა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თვისებები. შხამქიმიკატების გამოყენება ცალკეულ კომპანიათა ხანმოკლე მოგებისა და ადამიანთა ჯანმრთელობის გაუარესების ხარჯზე ხდება. სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია დღეს პროდუქციის მაღალი ხარისხისა და მისი უვნებლობის გარანტიას არ იძლევა. გლეხისთვის ბუნებრივად იქცა ასეთი აზროვნება: "ეს სახლისთვის, ეს - ბაზრისთვის". მას ოჯახისთვის განკუთვნილი პროდუქტი ეკოლოგიურად სუფთად მოჰყავს, ხოლო როცა დიდ მასშტაბებზეა საუბარი, ქიმიურ საშუალებებს მიმართავს, რაც მისი თქმით, უხვმოსავლიანობის მყარი გარანტიაცაა და შემოსავლის მატების წყაროც. გლეხს ვერ მოსთხოვ, იზრუნოს ყველას ჯანმრთელობაზე, რადგან ჩვენ ქვეყანაში კვლავაც აქტუალურია "ბრძოლა არსებობისთვის".

ადამიანი დედამიწას დაშორდა და მიწას დაუახლოვდა. დიახ, მიწამ დედობის სტატუსი დაკარგა. მეცნიერებმა მიწის გარეშე მოსავლის მოყვანის ტექნოლოგიაც კი შექმნეს, რომელსაც ჰიდროპონიკა ჰქვია და წარმატებით იყენებენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მიწა, რომელსაც ჩვენმა წინაპარმა დედა უწოდა, ათასგვარი ქიმიური ნაერთებით "გასუქებული", მცირე მოსავალს იძლევა. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების დიდი ნაწილი ან დაუმუშავებელია, ან იმდენად "გაბერწებული," რომ, ხშირ შემთხვევაში, საქონლის საძოვრადაც არ გამოიყენება. ქიმიზაციამ მიწის ნაყოფიერება შეამცირა და მას ორგანული, ბუნებრივი სტრუქტურის აღსადგენად რამდენიმეწლიანი დამუშავება სჭირდება. ქიმიური სასუქების გამოყენებამ ასეთი შედეგი გამოიღო: გაურესდა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თვისებები, შემცირდა ნიადაგის ნაყოფიერება, იმატა დაავადებებმა და გაიზარდა მიწისქვეშა უნიკალური წყლის რეზერვუარების დაბინძურება.

თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო წარმოება დღეს დაფუძნებულია სასუქებისა და შხამქიმიკატების გამოყენებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით ფართოდ გამოყენებული ნივთიერებები შორსაა სრულყოფისგან და გარემოს დაბინძურების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენენ, რასაც დიდი ზიანი მოაქვს ადამიანისთვის. მიწათმოქმედების გადაჭარბებულმა ქიმიზაციამ მიწა "ნარკომანი" გახადა მას ქიმიკატების გარეშე არსებობა არ შეუძლია. შხამქიმიკატებისა და სასუქების უვიცად გამოყენებამ შესამჩნევად შეამცირა მიწის ნაყოფიერება, საგრძნობლად გააუარესა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა თვისებები. სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია დღეს პროდუქციის მაღალი ხარისხისა და მისი უვნებლობის გარანტიას არ იძლევა. მცენარეთა პროდუქტიულობის მართვის ყველაზე ეფექტიან მეთოდს დღეს მსოფლიოში რეგულატორებით ზემოქმედება წარმოადგენს. ბუნებრივი წარმოშობის არატოქსიკური ბიორეგულატორები, რომლებსაც არ გააჩნიათ ანალოგები საერთაშორისო მასშტაბით. ისინი მცენარეთა სასიცოცხლო პოტენციალის გაზრდით, შხამქიმიკატების გამოუყენებლად, ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღებისა და მიწის მაქსიმალურად და ეფექტიანად გამოყენების საშუალებას იძლევა.

საკვები პროდუქტების კონტროლი მნიშვნელოვანია ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში. იგი უზრუნველყოფს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების სამომხმარებლო ბაზარზე გატანისას ხარისხობრივ კონტროლს, ხელს უწყობს მოსახლეობის დაცვას უხარისხო პროდუქციისაგან.

ადამიანს ჯანმრთელობისთვის ჯანსაღი გარემო და საკვები რომ ესაჭიროება, ეს ძალიან მარტივი მისახვედრია, მაგრამ შედარებით უფრო რთულია იმ გზების ძიება, რომელიც ქვეყნის ეკონომიკასაც და არსებულ პრობლემებსაც გამოასწორებს. არის თუ არა ბიოწარმოება ასეთი გამოსავალი?

ბიომეურნეობა სოფლის მეურნეობისა და საკვების წარმოების ისეთი სისტემაა, სადაც არ გამოიყენება ქიმიური სასუქები, ჰერბიციდები, პესტიციდები ან სხვა ნივთიერებები. ასეთ მეურნეობებში წარმოებული პროდუქცია ბიო-ეკოლოგიურ პროდუქტადაა აღიარებული და ამ სტატუსის შესანარჩუნებლად მისი შემდგომი გადამუშავების, რეალიზაციისა და შეფუთვის პროცესი ასევე შესაბამისი სტანდარტით იმართება. ბიომეურნეობაზე მოთხოვნილება მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება, საქართველოში ამ სფეროში მუშაობა ასოციაცია "ელკანამ" ჯერ კიდევ 1994 წლიდან დაიწყო.

საქართველოს ბოიწარმოების ძალიან დიდი პოტენციალი აქვს. მართალია, საქართველო არის მცირემიწიანი ქვეყანა და შესაბამისად, ძალიან გაჭირდება განვითარებული ქვეყნების ინდუსტრიული წარმოებისთვის კონკურენციის განევა, რომლებიც უზარმაზარ ფართობებზე ინარმოება უზარმაზარი რესურსებით, მაგრამ მეორეს მხრივ, ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი სიმდიდრე - ეს არის ჩვენი მრავალფეროვანი კლიმატური პირობები და ნიადაგი. საქართველოში 23 კლიმატური ზონა და 50 -მდე ტიპის ნიადაგი არსებობს. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში, შესაძლოა, ბევრი სხვადასხვა სახის პროდუქტის მოყვანა. ამოსავალი ჩვენი ქვეყნისთვის ისაა, რომ ეს პროდუქცია კარგი ხარისხით და გემოთი ხასიათდება. სხვა ქვეყნებში წარმოებული პროდუქცია ვერასოდეს იქნება ისეთი გემრიელი და სასარგებლო თვისებების, როგორიც ჩვენთან.

ხილ-ბოსტნეულისა და მისი პროდუქტების ხარისხის შესწავლის დროს საჭირო ხდება არა მხოლოდ მასში შემავალი კომპონენტების დადგენა, არამედ თვითონ ნედლეულში, პროდუქტში მცირე რაოდენობით არსებული პესტიციდების, ჰერბიციდების, ჰუნგიციდების, მძმე მეტალების და სხვათა რაოდენობის დადგენა, რადგანაც მათი მცირე რაოდენობით გადასვლაც კი საკვებ პროდუქტებში სახიფათოს ქმნის მის მოხმარებას ადამიანის ჯანმრთელობაზე, ვინაიდან მათ შესწევთ უნარი პროდუქტში დააგროვონ მომწამვლელი ნივთიერებები. ხილ-ბოსტნეულის და მათი პროდუქტების ადამიანის ორგანიზმზე უსაფრთხოების მაჩვენებლის დადგენა ექსპერტიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობაა, რომელიც ღრმად უნდა იყოს შესწავლილი.

ხილის-ბოსტნეულის გადამუშავების პროდუქტების სერტიფიკაცია მთელ მსოფლიოში აღიარებულია პროდუქტის ხარისხის უზრუნველყოფის გარანტის პირობად. სერტიფიკაციის არსებობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელია. დღეს სერტიფიკაციამ ისეთი ფართო გაქანება ჰპოვა, რომ მის გარეშე პროდუქციის რეალიზაცია მსოფლიო ბაზარზე შეუძლებელია, ვინაიდან საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობა პროდუქტის გარანტირებულ ხარისხს მოითხოვს, რომელიც წარმოადგენს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ძირითად და აუცილებელ პირობას. ჩვენი ქვეყნისათვის საბაზრო ეკონომიკის პირობებში, გარდამავალი პერიოდისთვის აუცილებელია გარკვეული ყურადღება მიექცეს სერტიფიკაციის საკითხებს, მან ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული წარმოების პროდუქციის ხარისხის ამაღლებას საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნათა დონეზე, რაც გაზრდის მის კონკურანტუნარიანობას.

ხილ-ბოსტნეულისა და მათი პროდუქციის ეკოლოგიური ასპექტი ეკოლოგიური მდგომარეობა, როგორც მთელ პლანეტაზე, საქართველოშიც ერთობ დაძაბულია და თუ უაღრესად საჭირო კონკრეტული ღონისძიებები არ გატარდა, შეიძლება კატასტროფის წინაშეც აღმოვჩნდეთ. უწინარეს ყოვლისა, გარემოს ხელოვნურად გაჭუჭყიანება, ეროვნული თვითმყოფადობის, მისი მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და ხასიათის გადაგვარების მომასწავებელია, რეალური საფრთხე ემუქრება სიცოცხლის არსებობას დედამიწაზე, ეკოლოგიური პრობლემები ამ მხრივ მჭიდროდ უკავშირდება მორალურს, დემოგრაფიულს, ეკონომიკურს.

მინერალური სასუქების, შხამქიმიკატების გონუვრული გამოყენება მოსავლიანობის გაზრდის მძლავრი საშუალებაა, მაგრამ მათი გადამეტება ბუნების კანონზომიერებათა დარღვევაა და ამდენად უბედურების მომასწავებელი. ამიტომ არის, რომ ყოველგვარმა ხილმა, ბოსტნეულმა, ბაღჩეულმა, დაკარგა თავისი ბუნებრივი გემო, არომატი, ვიტამინების ნაცვლად მასში გაიზარდა ჯანმრთელობისათვის მავნე ნიტრატები. მართალია, ნიტრატები მცენარის აზოტით კვების აუცილებელი ნაწილია, შეუცვლელი კომპონენტია მისი ზრდა-განვითარებისთვის, იგი არის ამინომჟავებისა და ცილების სინთეზის საფუძველი, მაგრამ მხოლოდ ისეთი რაოდენობით, რაც დადგენილი ნორმით რეკომენდებულია ამა თუ იმ მცენარისათვის. საქმე ისაა, რომ მცენარეებს იმაზე გაცილებით მეტი ნიტრატების შეთვისება შეუძლიათ, ვიდრე მათ ზრდა-განვითარებისთვის სჭირდებათ. სასუქებით უზომოდ გაჯერებული ნიადაგიდან ისინი 10 და 20-ჯერ მეტ ნიტრატებს შეითვისებენ, ვიდრე მათ ესაჭიროება. მათი ზედმეტი რაოდენობა გროვდება ფესვებში, ღეროებში, ნაყოფში, საიდანაც შემდგომ საკვების სახით ადამიანის ორგანიზმში ხვდება.

ცნობილია, რომ საქართველოში ხილ-ბოსტნეულის, ბაღჩეულის მოყვანასა და გადამუშავებას მდიდარი ტრადიციები არსებობს, როგორც ეს ხდებოდა ორი ათეული წლის წინათ. დღეს კი უცხო ქვეყნებიდან ყოველგვარი კონტროლის გარეშე შემოაქვთ ბიზნესმენებს ემულგატორებითა და საღებავებით გამდიდრებული პროდუქტები. მათ შორის ტომატ-პროდუქტები. გარდა ამისა, ჩვენ ბაზრები სავსეა ფალსიფიცირებული და ვადაგასული ხილ-ბოსტნეულის პროდუქტებით, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს. რამდენიმე წლის წინ ასპინძის რეგიონში შეტანილი იქნა ჰიბრიდული პომიდორი, რამაც ადგილობრივ ჯიშებს საფრთხე შეუქმნა. მანამდე ბოსტნეული შეწამვლის გარეშე მოჰყავდათ გლეხებს, ხოლო ამის შემდეგ ოთხი წლის მანძილზე კიტრი და პომიდორი სოფელში ვეღარავინ მოიყვანა. მოსახლეობა გაოცებული იყო. შემდეგ დაკვირვებამ ცხადყო, რომ უკვე ადგილობრივი ჯიშებიც ქიმიურ დამუშავებას ითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყვავილშივე ფუჭდება. იგივე აღინიშნებოდა კარტოფილზეც. თავდაპირველად ბევრი გლეხი სიხარულით დათანხმდა უცხოური ჯიშის უხვმოსავლიანი კარტოფილის დათესვას, თუმცა, ამან შედეგად ის მოუტანა მათ, რომ ადგილობრივი, საუკეთესო ჯიშები, თითქმის განადგურდა.

ბოლოს მინდა მოვიშველიო მამა პაისი ათონელის სიტყვები: „ადრე კიბო იშვიათობა იყო, ცხოვრება ხომ ბუნებრივი იყო, ყველაფერი სუფთა ხილი, ხახვი, პომიდორი. ახლა კი ბუნებრივი საკვებიც ვნებს ადამიანს. ვინც მარტო ხილითა და ბოსტნეულით იკვებება კიდევ უფრო ავადდება, იმიტომ, რომ ყველაფერი უსუფთაოა. ადრეც რომ ასე ყოფილიყო, მე ახალგაზრდა მოვკვდებოდი, რადგან მონაზვნობაში მხოლოდ იმით ვიკვებებოდი, რასაც ბოსტანი მაძლევდა. წარმოიდგინე, რითი იკვებებიან თანამედროვე ადამიანები: სულიერი შფოთი, საკვები სუროგატები - ყოველივე ამას ადამიანისთვის ავადმყოფობა მოაქვს. მეცნიერებას ყოველგვარი განსჯის გარეშე იღებენ და ადამიანები ამგვარად ინადგურებენ თავს."

მსოფლიოში საოცრად გაიზარდა მოთხოვნა ეკოლოგიურ ეკონომიკაზე დაფუძნებულ ორგანულ პროდუქტებზე და ამიტომ თვით ამერიკელებიც კი ამ გზას დაადგნენ ახლახან, როცა ევროპასთან შეთანხმება გააფორმეს ორგანული პროდუქტის წარმოება-სერტიფიცირების საკითხზე. საქართველომ უნდა დაიწყოს ახალი მოძრაობა: „ბიოორგანული მწვანე რევოლუცია!"

ბიოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორები:
ნინო ლომთათიძე
ნანი გვარიშვილი

(დასაწყისი მე-4 გვერდზე)

ბათუმის ოლქი ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმის პირობებში

მუჰამედისათვის ტახტზე ასვლა უნდა მიელოცათ. სულთანმა ისინი უხვად დაასაჩუქრა, დაუნიშნა პენსიები, ზოგიერთს კი ბეგის ტიტულიც უბოძა. ამის საზღაურად მათ ხალხში გაავრცელეს ცნობა, თითქოს რეგიონს ოსმალეთი ფართო ავტონომიას ანიჭებდა.

შემოსვლისთანავე ოსმალები შეეცადნენ ბათუმის იერსახის შეცვლას. გუბერნატორის ბრძანებით, 1918 წლის 22 აგვისტოდან მარინეს პროსპექტს დაერქვა სულთან-სელიმის სახელი, პეტროგრადისას - კონსტანტინეპოლის, გრიბოედოვის ქუჩას - ართვინის, პუშკინისას - არდაჰანის, ტურგენევისას - ჰაზი მუხტარ ჰაცის, შერემეტიევისას - დერვიშფაშას, ქუთაისისას - აზიზიეს და ა. შ. აბრებს მხოლოდ თურქულ წარწერას უკეთებდნენ. გამალებით მიმდინარეობდა ძველი მმართველობის აპარატის დაშლა და ახალი ოსმალური სტრუქტურების შექმნა. ოლქის გუბერნატორი ადგილზე დარჩენილ ქრისტიან ქართველებს ავიწროებდა, მისი ემისრები მაჰმადიანებს მათ წინააღმდეგ აქეზებდნენ, სავაჭრო დაწესებულებებში არ ღებულობდნენ ქართულ ფულს, სამაგიეროდ, უცხოურ ვალუტასთან ერთად მიმოქცევაში გაუშვეს ნიკოლოზის თუმნიანები.

ადგილობრივი ეროვნული საბჭოს ძალისხმევამ მოსახლეობის ინტერესების დასაცავად, შედეგი ვერ გამოიღო. წარუმატებელი აღმოჩნდა ქალაქის თვითმმართველობის პროტესტიც. ოსმალებმა მთლიანად გაძარცვეს სასკოლო დაწესებულებები, მათი შენობები და ყაზარმებად აქციეს. ოლქში ჭარბად გაიხსნა მედრესეები, სადაც ბავშვებს გაუგებარ არაბულ ენაზე ისლამის დოგმებს ასწავლიდნენ.

ოკუპაციამ შეაფერხა ოლქის კულტურული ცხოვრებაც. 1918 წლის აგვისტოში გუბერნატორმა გამოსცა ბრძანება, რომელშიც ქართველ, რუს, ბერძენ, ებრაელ მოსახლეობასა და ქართველ მუსლიმანებს მხოლოდ თითო დაწყებითი სასწავლებლის გახსნას ჰპირდებოდა, სადაც თურქული ენის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა პრესაც. დაიხურა ყველა ადგილობრივი გამოცემა. ჟურნალ-გაზეთები აღარც თბილისიდან შემოდიოდა. თუ ვინმე გაზეთის გამოცემას დაიწყებდა, იგი მხოლოდ რამდენიმე კვირის მანძილზე გამოდიოდა და ისიც მკაცრი ცენზურით* პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა ეროვნულ თემაზე რაიმე მასალის გამოქვეყნება. ქალაქის ადრინდელი თვითმმართველობა იმდენად დაკნინდა და შეიზღუდა, რომ სრულიად უმნიშვნელო ორგანიზაციად იქცა. მიუხედავად ამისა, ქართველი პატრიოტები მაინც ცდილობდნენ მის გამოყენებას მოსახლეობის ინტერესების დასაცავად.

26 მაისის დამოუკიდებლობის აქტით საქართველო, მიუხედავად რთული მდგომარეობისა, დემოკრატიული მშენებლობის გზას დაადგა. ხალხის სრული მხარდაჭერა არჩეული მთავრობისადმი და ამასთან, უკვე დაწყებული მნიშვნელოვანი რეფორმები, ქვეყნის ნათელი მომავლის იმედებს ბადებდა. ყოველივე ამის ფონზე კოლონიურ უღელქვეშ მოქცეული ქალაქ ბათუმის პერსპექტივა უიმედოდ გამოიყურებოდა. ხსნა მხოლოდ აქტიურ ეროვნულ მოძრაობაში ჩანდა, რომელსაც საქართველოსთან ამ კუთხის დაბრუნება უნდა მოჰყოლოდა.

1918 წლის შემოდგომაზე, ანტანტის ქვეყნების გამარჯვებამ წერტილი დაუსვა ოსმალეთის ბატონობას ბათუმის ოლქში. მან უსიტყვოდ მიიღო გამარჯვებული სახელმწიფოების ყველა ულტიმატუმი, მათ შორის ომის დროს დაკავებული ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანის შესახებ. ამრიგად, მოკლე დროში შეიქმნა პერსპექტივები მშობლიურ კერაზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისევ დასაბრუნებლად.

1918 ნოემბრის დამლევს ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმმა არსებობა შეწყვიტა.

ნუგზარ ზოსიძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ აცხადებს კონკურსს 2013 წლის 16 სექტემბრიდან აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (შემდგომში უნივერსიტეტი) აცხადებს ღია კონკურსს 2013/14 სასწავლო წლიდან სრული პროფესორის (6 წლის ვადით), ასოცირებული პროფესორის (5 წლის ვადით) და ასისტენტ-პროფესორის (4 წლის ვადით) აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. ტექნოლოგიური ფაკულტეტი -
ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12, ოთახი №5;

2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი -
ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №311;

3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი -
ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №44;

4. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლამცოდნეობის ფაკულტეტი -
ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №527, 534;

5. ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი -
ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №228;

6. განათლების ფაკულტეტი -
ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №58;

7. ტურიზმის ფაკულტეტი -
ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №121.

კონკურსანტის განცხადება განიხილება მხოლოდ საკონკურსო განცხადებაში მითი¬თებულ აკადემიურ თანამდებობაზე.

კონკურსთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე: www.bsu.edu.ge.

I. განცხადებების მიღების და კონკურსის ჩატარების ვადები

კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის დამატებითი ინფორმაციის გაცემა (მათ შორის საკონკურსო ადგილების რაოდენობა და სხვა) და განცხადებების მიღება იწარმოებს საპროცედურო კომისიების მიერ **2013 წლის 1 აგვისტოდან 16 აგვისტოს ჩათვლით,** ყოველ დღე (დასვენებისა და უქმე დღეების გარდა), 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.

კონკურსი ჩატარდება **2013 წლის 19 აგვისტოდან 27 აგვისტოს ჩათვლით.**

საკონკურსო კომისიების მიერ კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება არაუგვიანეს **2013 წლის 30 აგვისტოსი,** შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე: www.bsu.edu.ge.

კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდება **2013 წლის 16 სექტემბრიდან.**

II. საკონკურსო პირობები

2.1. უნივერსიტეტის სრულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

2.2. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 5 (ხუთი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

2.3. უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტი.

2.4. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია საკონკურსო დოკუმენტაცია, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით, წარუდგინოს ბსუ-ს იმ ფაკულტეტის საპროცედურო კომისიას, რომლის აკადემიური პერსონალის ვაკანტურ თანამდებობაზეც გამოცხადებულია კონკურსი.

2.5.კონკურსში მონაწილეობის მსურველის მხრიდან დაუშვებელია წარმოდგენილი იქნას ერთზე მეტი განცხადება ერთზე მეტ საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე.

2.6. სრული და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია საპროცედურო კომისიას წარმოუდგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ქსეროასლთან ერთად;

ბ) ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო—პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დამოწმებული შესაბამისი დაწესებულების მიერ;

გ) საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი მიმართულების სილაბუსი (სილაბუსები);

დ) საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (სტატია) ავტორის შეხედულებისამებრ, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო საქმიანობას (გამოქვეყნებული ბოლო 6 წლის განმავლობაში);

ე) დარგის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კონცეფცია სწავლების სამივე საფეხურზე;

ვ) უმაღლესი განათლებისა და შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი დამოწმებული სანოტარო წესით;

ზ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3ხ4.

2.7. ასისტენტ—პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია საპროცედურო კომისიას წარმოუდგინოს:

ა) პირადობის მოწმობის დედანი — ქსეროასლთან ერთად;

ბ) სამოტივაციო წერილი;

გ) უმაღლესი განათლებისა და შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი დამოწმებული სანოტარო წესით ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3ხ4.

2.8. სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია საპროცედურო კომისიას წარმოუდგინოს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსის (სილაბუსების) შესაბამისი კურსის/რიდერის ელექტრონული ვერსია იმ ენაზე, რომელ ენაზეც ტარდება ლექცია.

2.9. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია საპროცედურო კომისიას წარმოუდგინოს „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი“—თ დადგენილი კონკურსში მონაწილეობის მსურველის განცხადება (დანართი №2), კონკურსანტის მიერ შევსებული ანკეტა (დანართი №3) და შესაბამისი დოკუმენტაცია.

2.10.კონკურსანტის მიერ შევსებული ანკეტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა, როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით.

2.11.კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ ანკეტა შევსებული უნდა იქნას სრულად და მას უნდა ერთვოდეს ანკეტაში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა აუცილებელი დოკუმენტი ან მასალა.

2.12.კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

III. კონკურსში მონაწილეთა შეზღუდვა

3.1. 65 წელს მიღწეული პირის მიერ უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად მოგაცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

IV. კონკურსის ჩატარების წესი

4.1. კონკურსი ჩატარდება “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის“** შესაბამისად, რომლებსაც კონკურსანტი გაეცნობა საკონკურსო კომისიებში ან/და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

4.2. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატის გამოსავლენად გაითვალისწინება:

ა) განათლება, აკადემიური ხარისხი და სამსახურეობრივი გამოცდილება;

ბ) აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (PhD/ საკანდიდატო დისერტაციის დაცვა;

გ) საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი სამეცნიერო-პედაგოგიური და სასწავლო—მეთოდური საქმიანობა;

დ) კონკურსანტის ხელმძღვანელობით შედგენილი აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამები;

ე) კონკურსანტთა მონაწილეობა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და ტრენინგებზე (ბოლო 6 წლის განმავლობაში);

ვ) სასწავლო კურსების რაოდენობა, რომელთა წაკითხვა შეუძლია კონკურსანტს (პრიორიტეტი ენიჭება უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის კურსთან მიმართებით წარმოდგენილ ინფორმაციას);

ზ) საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი დარგის სწავლება და სამეცნიერო—კვლევითი საქმიანობა (ბოლო 6 წლის განმავლობაში);

თ) პუბლიკაციები არაუმეტეს 5—ისა, კონკურსანტის შეხედულებისამებრ (ბოლო 6 წლის განმავლობაში);

ი) პატენტები/გამოგონებები (ბოლო 6 წლის განმავლობაში);

კ) კონკურსანტის შეხედულებისამებრ ბოლო 6 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე (არა უმეტეს 5—ისა).

ლ) საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

უნივერსიტეტის სახალხო ანსამბლი „ტბეთი“ 60 წლისაა

„ადიშის ოთხთავში“ მოხსენიებული გლოვის მგოსნები, სინამდვილეში ქართულ როკვას დაუფლებული ოსტატები არიან. ბერძენი სწავლული ქსენოფონტე „ანაბასისში“ განსაკუთრებულად აღნიშნავს ქართული მოდგმის ტომების საცეკვაო ოსტატობას. იგი მიგვანიშნებს ქართულ მოსინიკებზე, რომლებიც ბრძოლის წინ გუნდ-გუნდად დაეწყობოდნენ და სიმღერ-სიმღერით მიემართებოდნენ მტრის განლაგებისკენ. ეს ეპიზოდი ძალიან მოგვაგონებს ქართულ ხორუმს, რომელსაც დღეს ქართველი ქალებიც კი ბრწყინვალედ ასრულებენ.

საუკეთესო ტრადიციის მქონე სტუდენტურ თვითშემოქმდებაში გამორჩეული ადგილი უკავია ქორეოგრაფიულ ხელოვნებას. 60 წლის წინ, ჯერ კიდევ ბათუმის პედინსტიტუტში, საღ ფესვებზე დამკვიდრებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ტბეთის“ სათავეებთან იდგნენ ქართული როკვის ჯადოქრები: ალექსანდრე ჯიჯეიშვილი, გივი ჩიხლაძე, ვლადიმერ შალიკაშვილი, რევაზ ჭანიშვილი, ჯემალ ჩიჩუა, თამაზ ბეჟანიძე. დღეს მათ ტრადიციებს ღირსეულად განაგრძობს ახალგაზრდა შემოქმედი ზურაბ სვანაძე.

წლების განმავლობაში სახალხო ანსამბლ „ტბეთში“ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ეზიარნენ და დაოსტატდნენ საცეკვაო ფოლკლორის საუკეთესო შემსრულებლები: იაშა ხალვაში, მერი ლომგულაშვილი, ჯუმბერ ლომათათიძე, ნოდარ და ნიაზ დევაძეები, ზაურ ლაზიშვილი, თამაზ ბეჟანიძე, ნონა ვარაზაშვილი, ნანული და მზია ნოღაიდელები, ომარ კომახიძე, პავლე მოსესიანი, ზურაბ ბაღდადიშვილი და სხვები.

განსაკუთრებულ აღიარებას ანსამბლმა „ტბეთმა“ მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში მიაღწია, როცა მას ქორეოგრაფები ჯემალ ჩიჩუა და თამაზ ბეჟანიძე ჩაუდგნენ სათავეში. ამავე პერიოდში მიიღო ანსამბლმა ნათლობა და წარმატებულად განვლო საგასტროლო ტურნე მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში. ამ დროის თაობას მიეკუთვნებიან: შალვა გოგუაძე, ამირან პაიჭაძე, დავით აფხაზავა, მერაბ დოლიძე, ასლან მიქელაძე, გიზო სარჯველაძე, ასმათ დიასამიძე, ქეთევან ბოლქვაძე, ნინო ტუღუში, ნატო კომახიძე, მარინე ცაგარეიშვილი და სხვები.

ჯემალ ჩიჩუას შემდეგ ანსამბლ „ტბეთის“ ტრადიციები კიდევ უფრო აამაღლა ქორეოგრაფმა თამაზ ბეჟანიძემ. მისი მოღვაწეობის პერიოდში „ტბეთი“ არაერთი რესპუბლიკური, საკავშირო თუ საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი გახდა. ბატონი თამაზის აღზრდილები დღეს საუკეთესოდ ემსახურებიან ქორეოგრაფიულ ხელოვნებას. აი ისინიც: ზურაბ სვანიძე, გიორგი მანჯგალაძე, შოთა აბულაძე, მიხეილ მახაძე, ირაკლი შაფათავა, კობა გაბაიძე, თამთა ბეჟანიძე, გიგა მურადაშვილი, ლადო ცინცაძე, ია ბარამიძე, ნონა რიჟვაძე და ა.შ.

2013 წლის 17 ივნისს, ბათუმის ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრში გამართულ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო ანსამბლ „ტბეთის“ 60 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე ბევრი თბილი სიტყვა ითქვა, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ალიოშა ბაკურიძის მისალმება. მან სახალხო ანსამბლ „ტბეთს“ უნივერსიტეტის და პირადი სახელით აღუთქვა მატერიალური და მორალური თანადგომა.

ვულოცავთ სახალხო ანსამბლ „ტბეთს“ 60 წლის იუბილეს და ვუსურვებთ წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში.

მერაბ მეგრელიშვილი

რაც გამახსენდა!

2013 წლის 17 ივნისი... უნივერსიტეტის სტუდენტმა მოსაწვევი გადმომცა, მითხრა: ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ტბეთის“ 60 წლის იუბილე ტარდება და როგორც მის ყოფილს წევრს, გეპატიჟებითო. ნეტავ ვის გაახსენდა?! არადა, მას შემდეგ 55 წელი გასულა.

1958 წელს მე და ჩემმა დამ, მზია ნოღაიდელმა დავამთავრეთ საშუალო სკოლა, წარმატებით ჩავაბარეთ მისაღები გამოცდები და გავხდით შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები. ჩვენ ბავშვობიდანვე ვიყავით ნაზიარები ქართული ფოლკლორის მადღს: ქართულ ზღაპრებსა და ლეგენდა-თქმულებებს, ქართულ ხალხურ პოეზიას, ქართულ ხალხურ სიმღერასა და ცეკვას. სკოლაში სწავლის პერიოდშიც გაერთიანებული ვიყავით სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში. მაშინდელ პრესას თუ გადახედავთ, ნახავთ, რომ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-4 საშუალო სკოლას ფრიად საპატიო ადგილი ეჭირა თვითმოქმედ მხატვრულ კოლექტივთა შორის.

1958 წელს ბათუმის ბათუმის პედაგოგიურ ინტიტუტშიც არსებობდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები. ინტიტუტში იმხანად ქორეოგრაფად მუშაობდა აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, შესანიშნავი ქორეოგრაფი გივი ჩიხლაძე. ბატონმა გივიმ როგორც კი გაიგო ჩვენი ინსტიტუტში ჩარიცხვის შესახებ, მიგვიწვია ინსტიტუტის ქორეოგრაფიულ ანსამბლში. ანსამბლს მაშინ სახელი არ ჰქონდა მინიჭებული. აქ დაგვხვდნენ შესანიშნავი მოცეკვავეები: ეთერ ზოიძე, ნოდარ და ნიაზ დევაძეები, ჯუმბერ ლომთათიძე, თამაზ ციმნარიძე... მათი რიცხვი მალე შევავსეთ ახალბედა სტუდენტებმა. ჩემთან და ჩემს დასთან ერთად აქ ცეკვავდნენ იაშა გვარიშვილი, ნონა ვარაზაშვილი, ინეზა ფირცხალაიშვილი, თამაზ ბეჟანიძე და სხვა.

ბატონი გივი ჩიხლაძე შესანიშნავი ქორეოგრაფი და ადამიანი იყო. მისი მთავარი მოთხოვნა იყო სტუდენტს არ გაეცდინა ლექციები და სემინარები, დროულად ჩაებარებინა გამოცდები. თვითონაც ხელს უწყობდა და მხარში ედგა ანსამბლ;ის წევრებს.

ანსამბლის რეპერტუარში გვქონდა ცეკვები: ქართულია, სამაია, განდაგანა, ხორუმი, მოხეური და სხვა. გარდა ქართული ხალხური ცეკვებისა, რეპერტუარში გვქონდა სხვა ქვეყნის ცეკვებიც. ჩვენი ანსამბლი აქტიურად მონაწილეობდა არამარტო საინსტიტუტო კულტურულ ღონისძიებებში, არამედ საქალაქო თუ საზეიმო რესპუბლიკურ საზეიმო ღონისძიებებში, ოლიმპიადებში. გვიწევდა გასვლა აჭარის რაიონებშიც. წარმატება და ჯილდოები ყოველთვის იყო ჩვენი ანსამბლის თანმდევი.

გადიოდა დრო. კურსდამთავრებული სტუდენტები მიდიოდნენ, მაგრამ თან მიყვებოდათ ინსტიტუტში გატარებული ლამაზი სტუდენტური დროს სევდა და ქართული ცეკვის სიყვარული. ქართული ცეკვა ხომ მკხოლოდ ცეკვა და თამაში არაა. ქართული ცეკვა კლდიდან გადმომჩქეფარე ჩანჩქერია, ქართული ცეკვა ნაკადულის ჩუხჩუხი და ლამაზი ყვავილების ღაღანია, ქართული ცეკვა „ხან ქუხილია და ხან ცისარტყელა“... მასში განივთებულია ჩვენი სამშობლოსა და ქართული ცეკვის მდიდარი ისტორია.

მადლობა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, ანსამბლ „ტბეთის“ ხელმძღვანელობასა და წევრებს, რომ ასე გულმოდგინედ ცდილობთ, შეისწავლოთ და ხალხს, საზოგადოებას აჩვენოთ თქვენი ლამაზი შემოქმედება, საქართველოს ფარგლებს გარეთ გაიტანოთ და მსოფლიოს სხვა ხალხებს დაანახვოთ, თუ რამდენად შინაარსიანი და მდიდარია ქართულ ტრადიციებზე განვითარებული ქართული ქორეოგრაფიული შემოქმედება. მადლობა, რომ ასე ალამაზებთ უნივერსიტეტის ცხოვრებას.

ნანული ნოღაიდელი

რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი:
ნესტან მამუჭაძე



სარედაქციო კოლეგია:
ნანა ცეცხლაძე
ინგა შამილიშვილი
ნათია ნიკლაშვილი
ნინო დოლიძე
მურმან გორგოშაძე
დავით ბარათაშვილი
გურამ ჩაგანავა
შოთა მამულაძე
უჩა აბრამიშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა
„სამშობლოში“
2 18 07 76; 5 99 95 31 90
მის.: ქ. თბილისი,
რობაქიძის 7